საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 20 სექტემბერი. 2018 წ. №184 (8585) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დღეს ამის დრო არ არის, ხვალ – ვნახოთ!

ნუ გამოვიყენებთ კანაფს ჩვენი ახალგაზრდობის „სახრჩობელის ყულფად“!

ჩვენო ძვირფასო, სამართლიანად აღშფოთებულო სულიერო მამებო და საზოგადოებავ! უკეთუ ყოველივე ამქვეყნად ღმერთის შექმნილია, ვითომ კანაფის შექმნის უფლებას ეშმაკს მისცემდა?! ქვეწარმავლის შხამს თვითმკვლელობისთვის ამზადებს ადამიანი თუ როგორც წამალს სიცოცხლის გადასარჩენად?! განა თამბაქო ნაკლები უბედურების მიზეზია ან მგლის შიშით ცხვარი უნდა გავწყვიტოთ?! როგორც ყოველივე საქმეში, აქაც საჭიროა ახალგაზრდობაში განათლების დონის ამაღლება, რომელმაც ცხადად უნდა იცოდეს, რა არის პირადად მისთვის კარგი და რა არის ცუდი!

გააჩნია თოფიანი ადამიანის ფსიქიკას — მან შეიძლება თოფით უწინარესად, მგელი მოკლას ან ქვეყნის მტერი და არა თვითონ დაიხალოს!

მოკლედ, მთავარი ის არის, რას როგორ და რისთვის გამოვიყენებთ! განა თუნდაც კომპიუტერულ თამაშებს მარტო სიკეთე მოაქვს ჩვენი ახალგაზრდობისთვის?! ასე რომ, სიკეთეც შეიძლება რომ ბოროტი მიზნით მიდგომისას ბოროტებად იქცეს, ხოლო ბოროტი კეთილი მიდგომის შემთხვევაშიც კი სიკეთე ვერ გახდება.

ესე იგი, ყოველსავე ბუნებისა თუ, უფრო სწორად, ღმერთის ქმნილებაში, უწინარესად, მხოლოდ სიცუდესა და უბედურებას უნდა ვხედავდეთ და არა სიცოცხლის გადასარჩენად შემცველ სამკურნალო თვისებას?! ამიტომ, ისევ და ისევ მთავარია, თუ განათლებისა და შეგნების რა დონეზეა საზოგადოებრიობა, რომლისთვისაც თანამედროვე სამედიცინო მიღწევების ცოდნის უქონლობის თვალსაზრისით, ამქვეყნად მხოლოდ შავი ფერი არსებობს, ხოლო ხსენებული ცოდნის შემთხვევაში იგი შავს გაცნობიერებულად ემიჯნება და თეთრს, ანუ კარგს, თავის სასიკეთოდ გამოსაყენებლად ხედავს. აი, სწორედ ამდენი აყალმაყალის ამტეხ ერთ-ერთ მცენარეში შავისა და თეთრის, ანუ კეთილისა და ბოროტის გარჩევას ეძღვნება ის წერილიც, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ამ მცენარესთან დამოკიდებულებაში ადამიანის უმთავრესი დევიზი უნდა იყოს: კანაფის შემცველ ბოროტ ნაწილს მტკიცე საზოგადოებრივი უარი, ხოლო კეთილის შემცველი ნაწილი — მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლის გასაჯანსაღებლად!

მაგრამ აშკარაა, რომ დღეს ჩვენი ეკონომიკური მოღონიერების საბაბით საქართველოში კანაფის ოფიციალურად მოყვანა, ამჟამინდელი საზოგადოებრივი განათლებულობის პირობებში, შეუძლებელია და ნაადრევია. ჩვენ სხვა არაერთი უკვე „მომწიფებული და გადამწიფებული“ პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. რაღა მაინცდამაინც ამ „მკვახე“ პრობლემას მივადექით?

თუ ხელისუფლება ყველაფერს ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ აკეთებს, ვალდებულია, ქვეყნისა და ხალხის აზრს ითვალისწინებდეს. ქვეყანა და ხალხი კი კანაფს ამჟამად ჩვენი ახალგაზრდობის „მოხრჩობის“ მავნე საშუალებად ხედავს.

ქვეყნისა და ხალხის ჯიბრი, რა თქმა უნდა, არ არის კარგი საქმე. დღევანდელი ესოდენ მწვავე დაპირისპირება ამ თავისებურად ავკარგიანი სარეველა მცენარის მიერ მოტანილი უკვე პირველი ძალიან ცუდი შედეგია!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მარიხუანა მართლა დიდი სიმდიდრის მატარებელია?!.

რაც უფრო ხელმისაწვდომი ხდება მარიხუანა, მით მეტს საუბრობენ მის სამკურნალო თვისებებზე

კანაფის შესახებ ახალს ვერაფერს იტყვი. კაცობრიობა მას ისტორიის დასაბამიდან იცნობს.

დანახშირებული თესლები ციმბირში, III ათასწლეულის ყორღანებში აღმოაჩინეს. ჩინელები კანაფს, როგორც სამკურნალო საშუალებას, უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. ხანგრძლივი ისტორია აქვს მარიხუანას ამერიკაშიც. ჯორჯ ვაშინგტონს კანაფი მაუნტ-ვერნონში მოჰყავდა. ამერიკის ისტორიის უმეტეს პერიოდში კანაფი ნებადართული იყო და ძირითადად ნაყენებისა და ექსტრაქტების ინგრედიენტებად გამოიყენებოდა.

შემდეგ ამავე ქვეყანაში გადაიღეს ფილმი „მარიხუანის სიგიჟე“. მარიხუანას უწოდებდნენ „ახალგაზრდების მკვლელს“, „მკვლელ სარეველას“, „სადებიუტო ნარკოტიკს“. დაახლოებით 70 წლის განმავლობაში მცენარე იატაკქვეშეთში გადავიდა, თითქმის მთლიანად შეწყდა მისი სამედიცინო კვლევაც. 1970 წელს მარიხუანის შესწავლა კიდევ უფრო გართულდა — ფედერალურმა მთავრობამ იგი პირველი რიგის ნარკოტიკებს გაუთანაბრა — ნივთიერებებს, რომელთა ბოროტად გამოყენების რისკი მაღალია და თან არავითარი სამედიცინო ღირებულება არა აქვთ. ამავე კატეგორიაშია ჰეროინიც. ის, ვინც ცდილობდა კანაფის შესახებ ცოდნის გავრცელებას, ამერიკაში კრიმინალად ითვლებოდა.

იხ. 6-7 გვ.

ბონდო ქობულია: მთავარი ზნეობაა!

ვაცლავ ჰაველი: პოლიტიკა ბინძური საქმე არ არის...

3

აკაკი ზოიძე: საჯარო მოხელეების მუშაობა უხარისხოა!

2

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

დემოგრაფიული ცუნამი ახლოვდება!..

4

ეკლესია წინასაარჩევნო პროცესებში არ ერევა

საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური პოზიციაა, **რომ ეკლესია წინასაარჩევნო პროცესებში არ ერევა,** — ამის შესახებ დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ საზოგადოებრივ მაუწყებელს განუცხადა,

„რამდენადაც მახსოვს, უწმინდესის სურვილიც იყო, რომ ჩვენ წინასაარჩევნო პროცესებში არ ჩავერიოთ. თუმცა ვატყობ, რომ რაღაც ემოციური განცხადებები კეთდება. ალბათ, მათ რაღაც არგუმენტი აქვთ, ვინც ამას აკეთებს. არ მგონია, რომ მაინცდამაინც მათი ნათქვამი ორიენტირებული იყოს არჩევნების შედეგებზე. შესაძლოა, სხვა გამონათქვამების გამო პასუხობენ. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ სასულიერო პირები წინასაარჩევნო პროცესში არ უნდა ვერეოდეთ“, — განაცხადა მამა ანდრია ჯაღმაიძემ.

პოლიტიკური აქტიურობა სასულიერო პირების მხრიდან დამაზიანებელი არ უნდა იყოს!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე აცხადებს, რომ სასულიერო პირებმა პოლიტიკოსის მხარდაჭერა არ უნდა გამოხატონ, რადგან ეს მრევლის არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებაა.

— პოლიტიკური განცხადებების ნაწილში სიფრთხილე ნამდვილად გამოსაჩენია, მე ამას დამრიგებლური ტონით არ ვამბობ. ვამბობ, როგორც ჩემს მოსაზრებას, იმიტომ რომ, როგორც მე უნდა გავუწიო ანგარიში და ინსტიტუციურად პატივი ვცე ეკლესიას და მის განსაკუთრებულობას, ასევე ეკლესიის ჩარევა პოლიტიკურ პროცესში ვინმეს მხარეს დაარღვევს ბალანსს და ეს არ არის სწორი, ამიტომ ეს ძალიან დასაფიქრებელია, ეს საჯარო პოლიტიკური აქტიურობა სასულიერო პირების მხრიდან, ჩვენ ყველა მრევლი ვართ და, შესაძლოა ჩვენთვის დამაზიანებელი იყოს. რატომ უნდა მიემხროს სასულიერო პირი სხვას ჩემს საწინააღმდეგოდ, როცა მეც მრევლი ვარ, სხვაც მრევლია და ჩვენ ვართ ამ შემთხვევაში საერო პოლიტიკური პროცესის ნაწილი და ეკლესია უნდა იყოს ის ინსტიტუცია, რომელიც ყველას გამაერთიანებელია...

ხელჩართული ჩხუბი ქუთაისის საკრებულოში

ქუთაისის **საკრებულოს გუშინდელი სხდომა ხმაურით და ხელჩართული ჩხუბით დაიწყო. ერთმანეთს საკრებულოს უმრავლესობის წევრი იმედა საღინაძე და „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი გია უკლება დაუპირისპირდნენ.**

დაპირისპირება საკრებულოს სხდომათა დარბაზში დაიწყო, რის შემდეგაც ხელჩართული ჩხუბი დერეფანში გაგრძელდა. ფიზიკური დაპირისპირების შედეგად უკლებამ სახის არეში დაზიანებები მიიღო.

დავით ჭიჭინაძე საპარლამენტო უმრავლესობას უტევს!

როგორც მან პარლამენტის პლენარულ სესიაზე განაცხადა, ის საქმიანობას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს.

„გავამახვილებ ყურადღებას ბოლო დროს მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო. პირველ რიგში, საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატის არდასახელებით, რაც მიმაჩნია, პოლიტიკური გუნდისთვის და პარტიისთვის აბსოლუტურად მიუღებლად. მინდა, ხაზი გავუსვა იმ საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელსაც მე ვეწინააღმდეგებოდი და დღეს აღვნიშნავ, რომ თურმე ის ძალა, რომელმაც უმრავლესობა აიღო, საგამოძიებო კომიტეტში პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს ამას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქართული ოცნების“ არმონაწილეობა არჩევნებში ეს არის ნიშანი, ძალაუფლების, პრეზიდენტობის გადაბარების მცდელობა იმავე ძალასთან, რომელთან ერთადაც შეიქმნა საგამოძიებო კომისია. აღარ დავამატებ შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, რაც მოხდა მარიხუანასთან და სხვა საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით.

ამიტომ, ვთვლი, მეც გავდივარ „ქართული ოცნების“ რიგებიდან და მოღვაწეობას გავაგრძელებ როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი. თუნდაც ის ინიციატივა, რომელიც შეეხება მარიხუანას, არ მახსენდება რომელიმე საარჩევნო კამპანიის დროს და ეკონომიკის განვითარების მიზნით, რომ შეთავაზებული ყოფილიყო ჩვენი ამომრჩევლისთვის“, — განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

რატომ წავიდა ნატო ჩხეიძე „პატრიოტთა ალიანსიდან“?

დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ დატოვა. ამის შესახებ მან განცხადება პარლამენტის პლენარულ სესიაზე გააკეთა. პარტიის დატოვების მიზეზად ნატო ჩხეიძემ „იბერიას“ საკითხზე „პატრიოტთა ალიანსის“ მხრიდან არასათანადო მხარდაჭერა დაასახელა.

„ამავე ორ კვირაში გახმოვანდა კიდევ ერთი ანტისახელმწიფოებრივი და მეტად მტკივნეული მოვლენა, სამთავრობო შეტევა მედიასა და ბიზნესზე. განსაცდელშია ტელეკომპანია „იბერია“. განსაცდელშია „ომეგა ჯგუფში“ დასაქმებული 1500-მდე ადამიანი. დახურულია საწარმო. ამ მოვლენამ გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება და პროტესტი, რასაც შეუერთდა ქვეყანაში მოქმედი ოპოზიციური პარტიების თითქმის მთელი სპექტრი. საქართველოს პრეზიდენტმა, სახალხო დამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა გამოხატეს თანადგომა „ომეგა ჯგუფისადმი“ მედიისა და ბიზნესის დასაცავად. ამ საყოველთაო განწყობის ფონზე, სამწუხაროდ, ვერსად გავიგონე „პატრიოტთა ალიანსის“ ხმა. ამის გამო გაუმართლებლად მიმაჩნია ჩემი ყოფნა ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში და, შესაბამისად, გავდივარ პარტიიდან“, — განაცხადა ნატო ჩხეიძემ.

მან იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტში მოიძებნება დეპუტატი, ვინც მას ფრაქციაში ჩაანაცვლებს და „პატრიოტთა ალიანსის“ ფრაქცია არ დაიშლება. თავად ნატო ჩხეიძე პარლამენტში მუშაობას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს.

უკრაინაში - ID ბარათებით

უკრაინული **მედიის ინფორმაციით, საქართველოსთან ID ბარათებით მიმოსვლის შესახებ შეთანხმების პროექტს უკრაინის მთავრობამ მხარი დაუჭირა.**

გადაწყვეტილების შესაბამისად, უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეები შიდა ბიომეტრიული პასპორტებით, ID ბარათებით შეძლებენ მიმოსვლას.

შესაბამისი შეთანხმების გაფორმება ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე ორი ქვეყნის დელეგაციების ვიზიტისას მოხდება.

აკაკი ზოიძე: საჯარო მოხელეების მუშაობა უხარისხოა!

ერთი ადამიანის გასაკეთებელი საქმე 5 კაცზეა გადანაწილებული...

„თუ გვინდა გვყავდეს კარგი მმართველები, რომელიც მეტ სარგებელს მოუტანენ მოქალაქეებს, მაშინ უფრო კონკურენტუნარიანი უნდა იყოს ხელფასებიც“.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე „კომერსანტთან“ გაზრდილ ბიუროკრატიულ ხარჯებზე საუბრობს. იმ ფაქტს, რომ **2012-2017 წლებში ბიუროკრატიული ხარჯი გაიზარდა 685 მლნ. ლარით** (წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ნაერთი ბიუჯეტი), ზოიძე კონკრეტული არგუმენტით ხსნის. მისი თქმით, ამ ხარჯებში იგულისხმება საჯარო მოხელეთა ხელფასებიც; ჯარში და პოლიციაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლები. არსებული პრობლემების ერთადერთ გამოსავალს გაზრდილი საშტატო ერთეულის შემცირებაში ხედავს.

„დღეს საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების მუშაობა არაეფექტიანი და უხარისხოა. ერთი ადამიანის გასაკეთებელი საქმე 5 კაცზეა გადანაწილებული. მაღალკვალიფიციური კადრი კი 1200-1300 ლარიან ხელფასზე არ წამოვა. სწორედ ამ პრობლემების მოგვარება გახლავთ მთავრობის ძირითადი ამოცანა და პროცესები უკვე დაწყებულია. ოპტიმიზაცია ხორციელდება ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ. საბოლოოდ, მივიღებთ პროფესიონალ კადრებს, რომელთა რაოდენობა იქნება ბევრად ნაკლები, ვიდრე დღეს არის“...

გარდა გაზრდილი საშტატო ერთეულისა, უხარისხო და არაეფექტიანი მუშაობისა, აკაკი ზოიძის თქმით, საჯარო სამსახური დღეს სოციალური შემწეობის მთავარ წყაროდ არის გადაქცეული, რაც დაუშვებელია.

„დიახ, თავის დროზე ხარჯები გაიზარდა და შედეგად მივიღეთ ის, რომ სოციალური თვალსაზრისით ნაკლებ ადამიანს დასჭირდა დახმარება, რადგან ყბადაღებული ათასობით სსიპ-ი და აიპ-ი სწორედ ამ მიზნით შეიქმნა. არ იყო სამუშაოები და ხდებოდა ადამიანების არაპირდაპირი სოციალური დახმარება საჯარო სექტორში დასაქმებით. თუმცა სახელმწიფო სტრუქტურა ვერ გახდება სოციალური დახმარების წყარო და ეს უნდა შეიცვალოს. ბუნებრივია, პროცესი თავისთავად გამოიწვევს ხარჯების შემცირებასაც და მაჩვენებელიც სასურველ 4 %-მდე დაიწევს“, — განმარტავს ზოიძე.

მისივე თქმით, თუ ზემოხსენებული სირთულეები დაიძლევა, მაშინ ადამიანთა უმეტესი ნაწილი კერძო სექტორში გადაინაცვლებს, რაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

„სანამ ვერ შევძლებთ იმას, რომ კერძო სექტორში შევქმნათ სამუშაო ადგილები, მანამდე სიტუაცია არ გამოსწორდება, მაგრამ ეს პრობლემა უკვე მოგვარების გზაზეა. იგივე 2012-18 წლებში კერძო სექტორში შეიქმნა დაახლოებით 100 ათასი სამუშაო ადგილი. გეთანხმებით, ეს არ არის საკმარისი. თანაფარდობა უნდა შეიცვალოს თვისობრივად. დღეს 235 ათასამდე პირია საჯარო სექტორში დასაქმებული, კერძოში კი — 600 ათასი ადამიანი. პროპორცია უნდა იყოს უფრო მკვეთრი, მაგალითად 150 ათასი საჯარო სექტორში და 1-2 მილიონი კერძო სექტორში. მთავრობის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის“, — აღნიშნავს აკაკი ზოიძე.

სალომე ლემონჯავა

მთავარი ზნეობაა!

ვაცლავ ჰაველი: პოლიტიკა ბინძური საქმე არ არის...

ამბობენ, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, სხვანაირად რომ ვთქვათ, პოლიტიკაში „ყველაფერი მოსულა“. სინამდვილეში არც ასეა საქმე... მსოფლიოში ცნობილი, ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი, დრამატურგი, დისიდენტი, ადამიანის უფლებების დამცველი, ევროპაში ზნეობრივი პოლიტიკის სახე ვაცლავ ჰაველი ამბობდა: **პოლიტიკა და ზნეობა შეთავსებადია, პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, ბინძურები შეიძლება იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიკით არიან დაკავებულები, ხოლო, ვისაც აქვს გული და გემოვნების შეგრძნება, მას შეუძლია წარმატებული პოლიტიკოსი გახდეს და უფრო მეტიც, ის პოლიტიკისთვის არის შექმნილი.**

დასანანია, რომ ჩვენს სინამდვილეში რიგი პოლიტიკოსებისა, ზოგჯერ თავიანთი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, ოპონენტების მიმართ ბრძოლის ძირითად იარაღად იყენებენ უზნეო, ამორალურ მეთოდებს, როგორიც არის: სიცრუე, ცილისწამება, ლანძღვა- გინება, შანტაჟი, პროვოკაცია და სხვ. ზოგიერთი მათგანი საზოგადოების წინაშე გამოსვლის დროს (რატომღაც ტელეარხები სიამოვნებით უთმობენ ასეთ პოლიტიკოსებს საეთერო დროს, ალბათ ფიქრობენ, „სიტყვის თავისუფლებას“ რაიმე ზიანი არ მიადგეს ქვეყანაში), ყოველთვის ლანძღვა-გინებით იწყებენ და ასევე ამთავრებენ, რამდენადაც მსგავსი რიტორიკა მათ ეადვილებათ, რადგან ეს დიდ ფიქრს არ საჭიროებს, ხოლო საღი აზრი მათთვის ყოვლად მიუღებელია. ერთი რამ ცხადია, ისინი სულაც არ არიან ისეთი სულელები და შესანიშნავად იციან, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეს მოსწონს, ეს მათ მაინც აკმაყოფილებს, რამდენადაც, სხვანაირად რომ მოიქცნენ, ამის შანსიც არ ექნებათ! ამიტომაც ამ უზნეო რიტორიკას აგრძელებენ და გარკვეულ სარგებელსაც ნახულობენ.

ამ ტიპის პოლიტიკოსები ჩვენ გარშემო არც ისე ცოტაა და ყველა კარგად ვიცნობთ. რაც შეეხება იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც პრეტენზია აქვთ უფრო მაღალ მატერიებზე, ზოგჯერ ასეთი სახის საქციელი მათი მხრიდან გასაკვირია, ნუთუ არ იციან, რომ ის დრო წავიდა, როდესაც ქვეყანაში ერთი რადიომაუწყებლობა იყო, ერთი ტელევიზია, რამდენიმე სამთავრობო გაზეთი გამოდიოდა, რასაც პრაქტიკულად ალტერნატივა არ გააჩნდა და მიუხედავად ამისა, ძირითადად სიცრუეზე აგებულმა უზნეო პროპაგანდამ იმ დროსაც კი (ხალხში) არ გაამართლა, და, შეიძლება ითქვას, კომუნისტური რეჟიმი მნიშვნელოვნად დააზიანა და საბოლოოდ გაანადგურა.

ამჟამად საქართველოში ფუნქიონირებს ათეულობით ტელეარხი, პრესა თავისუფალია, ალტერნატიული აზრი არ იზღუდება. ამ პირობებში პოლიტიკოსმა, თუგინდ პოლიტიკურმა პარტიამ, ფსონი უნდა დადოს მხოლოდ ზნეობრივ ღირებულებებზე: არ იცრუოს, არ ილანძღოს, ცილი არ დასწამოს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს და ძირითადად იხელმძღვანელოს მხოლოდ ზნეობრივი პოლიტიკის კატეგორიებით, თუ უნდა, რომ წარმატებას მიაღწიოს თავის საქმიანობაში, რომლის მაგალითი საბედნიეროდ ჩვენი ქვეყნის ახლო ისტორიაში უკვე გაგვაჩნია. ისევ ვაცლავ ჰაველი: „ნამდვილი პოლიტიკა არის ერთადერთი, რასაც მზად ვარ, მთელი ძალები შევწიროო. იგი მოქმეთა ჩვეულებრივ სამსახურში, საზოგადოების სამსახურში და იმათ სამსახურში მდგომარეობს, ვინც ჩვენ შემდეგ იცხოვრებს. ასეთი პოლიტიკა ზნეობრივია, ვინაიდან მასში ხორციელდება საყოველთაო ურთიერთპასუხისმგებლობა“, — ეს იმ მოაზროვნის სიტყვებია, რომლის მოღვაწეობაც გულიდან წამოსულ პოლიტიკაზე, ზნეობაზე და მორალზეა დაფუძნებული.

ბონდო ქობულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტს სასამართლომ აღკვეთი ღონისძიება შეუფარდა

თიანეთში მომხდარ დაპირისპირებაში მონაწილე ერთ-ერთ ახალგაზრდას სასამართლომ აღკვეთი ღონისძიება შეუფარდა.

დავით ჯიმშიტაშვილს „ქართული ოცნების“ აქტივისტის ცემაში ადანაშაულებენ — მომხდარი პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის პლაკატის ჩამოხევას მოჰყვა.

სასამართლომ მას 3-ათასლარიანი გირაოს გადახდა დააკისრა — მანამდე კი დაკავებული გლდანის ციხეში გადაიყვანეს. „ნაციონალური მოძრაობა“ მმართველ გუნდს აქტივისტების ზეწოლასა და დაშინების მცდელობაში ადანაშაულებს.

თორნიკე რიჟვაძე გაეროს წარმომადგენელს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილესთან მუნხტუია ალთანგერელთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საუბარი შეეხო გაეროსა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით მიმდინარე პროექტებს, მათ შორის, „ENPARD-3: საქართველოს სოფლის განვითარების ხელშეწყობა“ განხორციელებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ჩართულობის საკითხს.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის მე-3 ფაზის (ENPARD III) ფარგლებში. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 10 მლნ. ევროს, სადაც აჭარის კომპონენტისთვის გამოყოფილია 2,3 მლნ. ევრო. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანადაფინანსებით მიღებული თანხები (230 ათასი ევრო) მოხმარდება ისეთი აქტივობების დაფინანსებას, რომლებიც გულისხმობს აჭარის რეგიონის სასოფლო არეალებში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას შემდეგი მიმართულებებით: ტურიზმის განვითარება, მსუბუქი მრეწველობა, სერვისების განვითარება.**

ზაზა სარალიძემ ილია მეორის თხოვნით შიმშილობა შეწყვიტა

ზაზა სარალიძე შიმშილობას წყვეტს. შვილმოკლულმა მამამ ეს გადაწყვეტილება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის უკიდურესი ფორმა შეწყვეტილია, მოთხოვნების შესრულებამდე 51-ე სკოლის მოკლული მოსწავლის მამა საპროტესტო აქციების გაგრძელებას აპირებს.

„მოწოდება რაც იყო უწმინდესისგან, იყო რომ შიმშილი შემეწყვიტა და ადგილზევე შევწყვიტე შიმშილი, იქიდან გამომდინარე, ამდენი დღის შემდეგ თავად მომაწოდა საკვები და ალბათ, იმან იმოქმედა, იმიტომ ვარ ასე, არ ვიცი. აქციებთან დაკავშირებით არ გვილაპარაკია. მკითხა, საქმის მსვლელობა როგორ არისო, რაც ხდება, აბსოლუტურად მოკლე მონახაზით მივაწოდე ინფორმაცია, რომ არც არაფერი არ ხდება და ისევ და ისევ მკვლელებს აფარებენ ხელს. ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდება, სანამ მართლა სატანები არ მოშორდებიან ამ ქვეყანას,“ — განაცხადა ზაზა სარალიძემ.

ჩემი შვილი პროკურატურის მძევალია, ორი თვეა, დაკავებულია და რამე გააკეთეს?

პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით დაკავებული მოზარდის დ.ღ.-ს მამა კახა ღლონტი აცხადებს, რომ მისი არასრულწლოვანი შვილი პროკურატურის მძევალია. მისივე განმარტებით, სახელმწიფო ბრალდება ვერ ასაბუთებს, თუ რის გამოა დ.ღ. დაკავებული.

„ეს არის ქვეყანა, სახელმწიფო, სადაც პროკურატურას ჰყავს მძევალი, არასრულწლოვანი. თვითონ ვერ გამოიძიეს ეს საქმე, შეცდომები დაუშვეს, თუ რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ დღეს, ამ სასამართლო სხდომაზე მითუმეტეს, გამოვლინდა, რომ ჩემი შვილი პროკურატურის მძევალია. ორი თვეა, ჩემი შვილი დაკავებულია და რამე გააკეთეს? ვინმე არის კიდევ დაჭერილი? რას აკეთებენ საერთოდ? დაიჭირეს ეს არასრულწლოვანი, ორი თვეა პატიმრობაში ჰყავთ და თან, ვერ ასაბუთებენ რატომ ჰყავთ პატიმრობაში და უარს გვეუბნებიან ყველაფერზე... ჩვენ გავაგრძელებთ სამართლებრივ ბრძოლას სიმართლისთვის“, — აცხადებს კახა ღლონტი.

უკანონო ბრუნვიდან ჰეროინი ამოაქვთ, ნარკორეალიზატორებს იჭერენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვის და ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ აქტიური, უკომპრომისო ბრძოლა, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვლადიმერ ბორცვაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

ვლადიმერ ბორცვაძის ინფორმაციით, **16-17 სექტემბერს, ფონიჭალასა და მარნეულის რაიონში ერთდროულად ჩატარებული მასშტაბური ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, 4 პირი: 1985 წელს დაბადებული ე.ა., 1992 წელს დაბადებული ე.ა., 1975 წელს დაბადებული გ.ა. და 1991 წელს დაბადებული ბ.მ. დააკავეს.**

ბრალდებულები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას. სამართალდამცველებმა, სასამართლო განჩინებების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს მათგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პოლიციამ ოთხივე პირის მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ამოღებულია 8 შეკვრა ჰეროინი და სხვადასხვა სახის აბები, **რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.**

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით, თბილისში 2 პირია დაკავებული.

ასევე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საზღვრო გამშვები პუნქტი „სადახლოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულია ირანის 4 მოქალაქე. 1982 წელს დაბადებული ა. ჯ.-ს, 1980 წელს დაბადებული რ. ყ.-ს, 1989 წელს დაბადებული ს. ბ.-ს და 1991 წელს დაბადებული ჟ. ყ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, კერძოდ, ფეხსაცმელების ძირებიდან ამოღებულია 2 კილო და 780 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

„დამატებით გაცნობებთ, რომ ბოლო ცხრა თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების აქტიური მუშაობის შედეგად, დაკავებულია 143 ნარკორეალიზატორი.

2018 წლის პირველი იანვრიდან დღემდე, ამოღებულია: 25 კილოგრამი ჰეროინი, 1 კილო და 500 გრამი კოკაინი, 8990 აბი „სუბოტექსი“ და „სუბოქსინი“, 2 კილო და 100 გრამი „მდმა“,1 კილო და 200 გრამი ფსიქოტროპული მედიკამენტები“, — განაცხადა ბორცვაძემ.

ჰაერს მანქანებზე არანაკლებად მშენებლები აბინძურებენ

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კვლევამ აჩვენა, რომ თბილისში მხოლოდ ავტოტრანსპორტი არ ყოფილა ატმოსფეროს დამბინძურებელი, არამედ ის სამშენებლო ობიექტებიც, რომლებიც მრავლად არის ჩვენს ქალაქში. ეს ნიშნავს, რომ დედაქალაქში მხოლოდ ტრანსპორტის სფეროს მოწესრიგებით ჰაერის ხარისხი ვერ გაუმჯობესდება. მშენებლობებს ემატება გათბობა-გაგრილების სისტემებიც, რომელთა წილი ეკოლოგიური მდგომარეობის დამძიმებაში საკმაოდ დიდია.

სპეციალური კვლევა არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვის“ ორგანიზებით, თბილისში 10-მდე ლოკაციაზე დღის სხვადასხვა საათებში განხორციელდა. გარემოს დაცვის ექსპერტის **ნუგზარ ბუაჩიძის** განცხადებით, კვლევის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ინგრედიენტებიდან პირველ რიგში გამოიკვეთა მტვერი.

„მტვერში გავზომეთ PM2,5 PM10, ანუ მტვრის მცირე ზომის ნაწილაკები, რომლებიც სამწუხაროდ, ადვილად ხვდება ადამიანის ორგანიზმში და მან შეიძლება სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ამ ნაწილაკების შედარებით მაღალი კონცენტრაციები აღმოჩნდა გმირთა მოედანზე და სამშენებლო ობიექტებთან. ამ კვლევამ გვიჩვენა, რომ მარტო ავტოტრანსპორტი არ ყოფილა ატმოსფეროს დამაბინძურებელი, არამედ ის სამშენებლო ობიექტებიც, რომლებიც მრავლად არის დედაქალაქში.

ჩვენთვის საინტერესო იყო ამ მტვერში მძიმე ლითონების: ტყვიისა და კადმიუმის შემცველობის განსაზღვრაც. საბედნიეროდ, კადმიუმი არ აღმოჩნდა, თუმცა აღმოჩნდა ტყვია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე 10-ჯერ ნაკლები. „ეს არ ნიშნავს, რომ მტვერში ტყვია არა არის. სამწუხაროდ, ეს არის ისეთი ელემენტი, რომელიც ორგანიზმიდან ძალიან ძნელად გამოდის და შეესაძლებელია, ორგანიზმში მისი კონცენტრაცია თანდათან გაიზარდოს“, — განაცხადა ბუაჩიძემ.

კვლევის ავტორების რეკომენდაციაა, გაუმჯობესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა, საწვავის ხარისხი, ქალაქში მოხდეს სამშენებლო ობიექტების შემცირება და ასევე რაც შეიძლება მეტი მწვანე საფარიანი და მოპირკეთებული გრუნტის ზედაპირი იყოს.

კვლევის ავტორები მიიჩნევენ: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების უკეთ შესასწავლად უფრო ფართომასშტაბიანი და მრავალწლიანი კვლევა უნდა ჩატარდეს. რაც შეეხება სხვა ქალაქებს: ბათუმში, ქუთაისში, ზესტაფონში, ხაშურში, რუსთავსა და თელავში ასევე დაფიქსირდა აზოტის დიოქსიდის, როგორც დაბალი ინდექსი, ასევე ზოგიერთ წერტილში ნორმაზე გადაჭარბების შემთხვევებიც.

ცნობისთვის, ინდიკატორული მილაკები საქართველოს მასშტაბით განთავსებული იყო 25 ქალაქში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონში, რუსთავში, თელავში, გორში, ახალციხეში, ზუგდიდში, კასპში, მცხეთაში, ოზურგეთში, ფოთში, სამტრედიაში, სენაკში, საჩხერეში, ლანჩხუთში, ტყიბულში, ჭიათურაში, ხაშურში, მარნეულში, ბოლნისში, სიღნაღში, ყაზბეგსა და ჩხოროწყუში.

აღსანიშნავია ჯანდაცვის დარგის სპეციალისტების ბოლოდროინდელი საგანგაშო დასკვნა: ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისეთ ადგილებში გაჩერება, რომელიც ჰაერის დაბინძურებით გამოირჩევა, ტვინის კოგნიტურ შესაძლებლობებზე უარყოფითად აისახება. ტვინზე ატმოსფეროს დაბინძურების უარყოფითი გავლენა ასაკის მატებასთან ერთად იმატებს, განსაკუთრებით მოქმედებს მამაკაცებსა და იმ ადამიანებზე, რომლებსაც არცთუ ისე მაღალი განათლების დონე აქვთ.

მკვლევარები დარწმუნებულები არიან, რომ აღნიშნული კვლევის შედეგების განზოგადება დედამიწის მოსახლეობის უმეტესობაზე შეიძლება, რადგან ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 80% ჰაერის კრიტიკული დაბინძურების არეალში ცხოვრობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად, დაავადებების გამო, რომლებიც ჰაერის დაბინძურებით არის გამოწვეული, ყოველწლიურად მსოფლიოში ნაადრევად, დაახლოებით, 7 მილიონი ადამიანი იღუპება. პლანეტის 10-დან ყოველი 9 მოსახლე დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს.

დემოგრაფიული ცუნამი ახლოვდება!..

საქართველო ნულოვანი პოპულაციის ზღვართანაა. ქვეყანაში 2018 წლის იანვარ-ივნისში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 24 312 ბავშვი შეადგინა. ამავე პერიოდში ქვეყანაში გარდაიცვალა 23 603 ადამიანი. 2018 წლის პირველ ნახევარში ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) 709 კაცით განისაზღვრა.

„საქსტატის“ ინფორმაციით, ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი ქვეყნის 3 რეგიონში აღირიცხა: ქ. თბილისში (2 109), აჭარაში (1 041) და ქვემო ქართლში (674).

შეიძლება ითავას, ქვეყანა ნულოვანი პოპულაციის ზღვართანაა. დაბადებულებსა და გარდაცვლილებს შორის სხვაობა მინიმუმზე დავიდა და სამომავლოდ შეიძლება დადებითი ბალანსი საერთოდ გაქრეს.

სპეციალისტები ადასტურებენ, რომ პრობლემა მომდევნო წლებში კიდევ უფრო გამძაფრდება და ამას 2 ძირითადი მიზეზი აქვს — დემოგრაფიული თაობის ცვლა და ემიგრაცია. დემოგრაფი თამარ ჩიბურდანიძე ამბობს, რომ 1990-იანი წლებიდან 2000 წლამდე გოგონების განახევრებული რაოდენობა დაიბადა, ეს გოგონები სწორედ ახლა შედიან რეპროდუქციულ ასაკში და მაშინდელი განახევრებული თაობა ახლა განახევრებულ შთამომავლობას გვაძლევს.

„მეორე მთავარი მიზეზი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ამის თანმდევი ემიგრაციაა. 12-წლიან პერიოდში საქართველო რეპროდუქციულ ასაკში მყოფმა 800 ათასამდე ახალგაზრდა ქალმა და მამაკაცმა დატოვა. უცხოეთში სამუშაოდ წასულმა თაობამ მძიმედ დაარტყა ქვეყნის შობადობას და დემოგრაფიას“, — აღნიშნა ჩიბურდანიძემ.

გარდა ამისა, ბოლო წლებში უდიდეს პრობლემად იქცა განქორწინებების რიცხვის მასშტაბური ზრდა. დემოგრაფიული ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, განქორწინებულ ახალგაზრდები განქორწინების მთავარ მიზეზებად ძალადობას, ურთიერთუპატივცემულობას და ღალატს ასახელებენ. განქორწინების მიზეზებს შორის ბოლო ადგილს იკავებს სოციალური პრობლემები. განქორწინების ინოციატორები უმეტესწილად გოგონები არიან. თამარ ჩიბურდანიძის განმარტებით, განათლებით გამოწვეული საჭიროებებისა და განვითარების გამო გოგონები ნაკლებად პატიობენ ქმრებს, მაგალითად ღალატს, რაც ადრე საქართველოში პრობლემად არ აღიქმებოდა.

ქორწინების შემცირება და განქორწინების მატება ბოლო 10 წლის ტრადიციაა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში განქორწინებულთა რაოდენობა, თითქმის, 5-ჯერ გაიზარდა. განქორწინებულთა რაოდენობის რეკორდული მაჩვენებელი ყოველ წელს მზარდია და უკვე ქორწინებათა ოდენობის ნახევარს უტოლდება, ანუ შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკურად ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება.

დემოგრაფი ანზორ თოთაძე ხშირად ამბობს, რომ ერმა თავისი თავი თვითონ უნდა გადაარჩინოს. ეროვნული თვითშეგნების გაზრდასა და პროპაგანდაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მედიის როლს, თუმცა ამ მხრივ საქმე ნამდვილად არ არის სამაგალითო ჩვენს ქვეყანაში. როგორც დემოგრაფები ამბობენ, საქართველო თავიდან ვერ აიცილებს დემოგრაფიულ დარტყმას, თუმცა საჭიროა მისი შერბილება. ახალი სამთავრობო ინიციატივებით უნდა გაიზარდოს შობადობა და შემცირდეს მიგრაციის მაჩვენებელი. წინაღმდეგ შემთხვევაში 2050 წლისთვის დემოგრაფიული ცუნამი გარდაუვალი იქნება.

ბექა დანელია

„THOMAS COOK“-ის წარმომადგენლები აჭარით ინტერესდებიან

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით რეგიონს მსოფლიოში უმსხვილესი ტურისტული კომპანია „Thomas Cook“-ის წარმომადგენლები სტუმრობენ. ისინი რეგიონში ტურისტულ, ბიზნეს და საინვესტიციო პოტენციალს ეცნობიან. კომპანიის ტურისტული და ავიაკომპანიების მიმართულებების მენეჯერები უკვე შეხვდნენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მენეჯმენტს, ქალაქ ბათუმის მერსა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს. შეხვედრებზე მხარეებმა შესაძლო თანამშრომლობაზე, აჭარაში ინვესტიციების განხორციელებასა და რეგიონის მიმართულებით ფრენების დანიშვნის შესაძლებლობებზე ისაუბრეს. სტუმრები ასევე, გაეცნენ ბათუმის ძირითად ტურისტულ ღირსშესანიშნაობებსა და ტურისტულ ინფრასტრუქტურას.

კომპანია „Thomas Cook“ 177 წელია მსოფლიოში ოპერირებს და ყოველწლიურად 19 მილიონამდე მომხმარებელს ემსახურება. ის ტურისტულ ბიზნესში წამყვანი კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს 60 ტურისტული მიმართულებით ანხორციელებს ფრენებსა და ინვესტიციებს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში გამართულ შეხვედრას „Thomas cook“-ის ფრენების დანიშნულების მართვის დირექტორი თიმ ჯოდი, „Thomas cook“-ის ფრენების და აეროპორტის სუბსიდიების მენეჯერი სტეფან ჯოლი, TAV Georgia-ს სატერმინალო ოპერაციების მენეჯერის მოადგილე იუცელ ოლგუნი, TAV-ის ავიაციის მარკეტინგის წარმომადგენელი ქენ ქენბოლატი და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალი სკვერი ნაძალადევში

გურამიშვილის გამზირზე, 141-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ ახალი სკვერი მოეწყო. ინფრასტრუქტურული სამუშაოები 2 000 კვ.მ ფართობზე შესრულდა. პროექტის ფარგლებში, საბავშვო ატრაქციონები, სარწყავი სისტემა და გარე განათების ქსელი მოეწყო. ასევე, განთავსდა საბაღე სკამები და სანაგვე ურნები.

ახალი სკვერი ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ირაკლი ხელაძემ, პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ ყაველაშვილმა და თბილისის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ დაათვალიერეს.

„არსებული სკვერების რეაბილიტაციის პარალელურად, ვცდილობთ, ახალი დასასვენებელი სივრცეები შევქმნათ. ერთ-ერთი ახალი სკვერი სანზონაში მოვაწყვეთ. გასულ წელს აქ სპორტული მოედანიც მოეწყო. მთლიანობაში ძალიან კარგი სივრცე შეიქმნა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე სკოლის მოსწავლეებისთვის. ჩვენს მოქალაქეებს მინდა, მოვუწოდო, რომ უფრო მეტად გავუფრთხილდეთ გამწვანებულ ტერიტორიებს და განახლებული ინფრასტრუქტურა შევინარჩუნოთ“, - განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა.

აღნიშნული პროექტისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 143 548 ლარი გამოიყო.

წყნეთში საგზაო ინფრასტრუქტურა წესრიგდება

ვაკის რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რამდენიმე მისამართზე ხორციელდება. მათ შორის, გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს წყნეთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე. ტერიტორიაზე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ უკვე გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები. ამჟამად კი ასფალტის ახალი საფარი იგება. პროექტის მიხედვით, სამუშაოების შედეგად, დაახლოებით, 3000 კვ.მ ფართობის გზის საფარი დაიგება და კეთილმოეწყობა, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან 185 000 ლარია გამოყოფილი.

მიმდინარე წელს, წყნეთში საგზაო ინფრასტრუქტურა 10 მისამართზე მოწესრიგდა, ხუთ მისამართზე კი სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს.

უფლის ნაბოძებ სიკეთეს გამოყენება უნდა!



ისევ საქართველოს ეკონომიკის განვითარების გენერალური სტრატეგიის შესახებ (ანუ ვინ ბლოკავს საქართველოს წყლის ინდუსტრიის გრანდიოზული პროექტის განხორციელებას?!)

მსოფლიო **გლობალიზაციის ეპოქალური პროცესები ობიექტურად განაპირობებს ყველა ქვეყნის ეკონომიკის სიღრმისეულ სტრუქტურულ ცვლილებებს. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს და ზოგიერთ სხვა ქვეყანას, რომლებიც ეპოქალურად ჩამორჩნენ მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპებს. დღეისათვის საქართველო ასეულს მიღმაა მსოფლიოს ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლის მიხედვით, პარამეტრითაც და გვისწრებს როგორც ყველა ევროპული, ასევე აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა, რომელთაც თითქმის არავითარი რესურსულ-ეკონომიკური უპირატესობა არ გააჩნიათ. ამასთან, სავალალოა ისიც, რომ როცა მსჯელობაა საქართველოს ეკონომიკის მომავალ განვითარებაზე, მკვლევართა თუ ექსპერტთა დიდი უმრავლესობა, წინა პლანზე აყენებს ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებას. რაც შეეხება თანამედროვე ინდუსტრიული ტექნოლოგიის მრავალსახეობიდან თუნდაც ერთის გამოკვეთილად განვითარებას, ამაზე მსჯელობა თითქმის არ არის.**

ამასთან დაკავშირებით, უაღრესად აქტუალურია საქართველოს ეკონომიკის განვითარების მეცნიერულ დონეზე დამუშავებული გენერალური სტრატეგიის კონცეფციის ხორცშესხმის პრობლემა, რაც არაერთხელ ყოფილა მსჯელობის თუ დისკუსიის საგანი; ეს საკითხი დღესდღეობითაც აქტუალურია, რამდენადაც მკვლევართა თუ პოლიტიკოსთა არც თუ მცირე ნაწილი, თავისი ე.წ. კონცეფციით, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს სამუდამო ჩამორჩენილობისაკენ ექაჩება. ამათგან, მხოლოდ ერთ სტატიას გამოვარჩევ, რომელიც საქართველოს მართლაცდა გამორჩეულ, ქართული პრესის ფლაგმან ასწლოვან „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2017 წლის 25 მაისი) დაიბეჭდა სათაურით – „საქართველოს ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია“ (ავტორი ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტია, რომლის გვარს შეგნებულად აქ არ ვასახელებ). მასში ვკითხულობთ: „მისასალმებელია, რომ ამჟამად საქართველოში ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის განვითარების გენერალურ სტრატეგიად არის აღიარებული... რის შესახებ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში, კერძოდ 1999 წელს ვწერდი“.

ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, და არამხოლოდ ჩემი, ცალსახად უარყოფითია, რამდენადაც ასეთი შეხედულებების უმეტესობა (მჯერა, რომ ეს ჩვენ ავტორს არ შეეხება) იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამამულო ინდუსტრიისა და მყარი ეკონომიკის არსებითად ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს, ისიც უკეთეს შემთხვევაში, ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნისა, და, საბოლოოდ, ტურისტთა საჯირითო ტერიტორიის, ხოლო ქართველებს – სხვების მომსახურე ერის მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. საქმე ისაა, რომ მომავალი არა აქვს იმ ქვეყანასა და ერს, რომელიც ერთ სეზონში, თუნდაც 2-3-ჯერ მეტ ტურისტს თუ დამსვენებელს მოემსახურება, ვიდრე ქვეყნის მუდმივი მოსახლეობაა.

ამასთან, სავსებით მისაღებია, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი ადგილი დაიკავოს ტურიზმის თუ საერთოდ მომსახურების სფეროს დაჩქარებულმა განვითრებამ, რასაც არავინ უარყოფს, მაგრამ, ამასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მრეწველობას, და საერთოდ, ეკონომიკის დარგთა ინდუსტრიულ განვითარებას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, და რაც მთავარია, განათლების ფენომენს. ამ ასპექტით, მოსაფიქრებელია ქვეყნის, როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი უპირატესობის ამოქმედების ახალი შესაძლებლობები, რისი დიდი პოტენციალიც გაჩნია საქართველოს.

თუმცა, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, დაუყოვნებლივ ასამოქმედებელია როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი უპირატესობის შემცველი, უკვე პროექტის სახით დამუშავებული „ქართული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის“ კონცეფცია, რასაც მისი ავტორ მეცნიერ-პატრიოტთა ძლიერი ჯგუფი, პროფესორ პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით, „საქართველოს ეკონომიკური აღორძინების დოქტრინას უწოდებს.

ავტორთა დამაჯერებელი მტკიცებით, ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით, მოკლე პერიოდში საფუძველი ჩაეყრება საქართველოს ფულადი შემოსავლების – 12 მლრდ დოლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის – 3 მლრდ დოლარით ზრდას, სამრეწველო და სატრანსპორტო გადაზიდვებში ათეულობით ათასი ადამიანი დასაქმდება და თითოეული დასაქმებულის თვიური ხელფასი 1500 დოლარი იქნება. დაიწყება დარგობრივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით. წყლის ინდუსტრიის ამუშავებიდან მეშვიდე წელს დარგობრივ ეკონომიკაში რეინვესტირებული თანხებიდან შემოსავლები სწრაფად გაიზრდება; მეცხრე წელს კი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 51 მლრდ დოლარს გაუტოლდება. მეათე წლიდან ეკონომიკურ პროექტებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 300 ათას მიაღწევს, საშუალო ხელფასი კი 4500 დოლარი იქნება; ამის საფუძველზე დაიწყება დემოგრაფიული მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება და მიგრაციული პროცესები შეჩერდება.

ბუნებრივი სასმელი წყლის უზარმაზარი რესურსული პოტენციალის გამოყენება საქართველოს მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად გადააქცევს, მისი გამოუყენებლობა კი ერის წინაშე ჩადენილი გამოუსწორებელი, საშინელი დანაშაული იქნება. როგორც პროფ. პაატა გიორგაძე წერს („ასავალ-დასავალი“, 2018 წლის 9-15 ივლისი) ამერიკელი პარტნიორები მზად არიან საქართველოს სასმელი წყლისა და შესაბამისი სატრანსპორტო ინდუსტრიის შესაქმნელად ეტაპობრივად დახარჯონ 5 მლრდ დოლარი. ამ პროექტის განხორციელებას, აღნიშნავს პროფ. პ. გიორგაძე, მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება სჭირდება, რაც აქამდე არ გამოვლენილა. და შემდეგ, სტატიაში არის ასევე ავტორის მოკრძალებული თხოვნა: „მეცნიერთა დიდი ჯგუფის სახელით ვთხოვ და მივმართავ ბატონ მამუკა ბახტაძეს – დაინტერესდით ქართული სასმელი წყლის ინდუსტრიის პროექტით, ხელი შეუწყეთ მის განხორციელებას და საქართველოს ისტორიაში შეხვალთ სახელმწიფო მოღვაწედ, რომელმაც ქვეყნის სიღარიბიდან ამოყვანასა და მოსახლეობის გამდიდრებას დაუდო დასაბამი“.

დიახ! ეს მართლაც გრანდიოზული პროექტია, რომლის განხორციელებაც საქართველოს უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას მოუხსნის, მსოფლიოს „წყალმოწყურებულ“ ყველა ქვეყანას შვებას მოუტანს, ჩვენ კი – დიდძალ სასურველ ინვესტიციებსა და მოგებას. რა არის საჭირო ამისთვის? რა და მძლავრი სახელმწიფო კორპორაციის შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგება პროექტის ავტორი და მის, ასევე სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ქვეყნის პატრიოტი და დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტები. თუმცა, არსებობს სრულიად მიუღებელი ვერსია იმის შესახებ, რომ პროექტის განხორციელებას ხელს უშლიან უცხოეთთან საეჭვოდ დაკავშირებული საქართველოს ყოვლისშემძლე ბიზნესმენთა თუ საქმოსანთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც კერძო ანგარებით ინტერესებს ყოველგვარ სხვა ინტერესზე მაღლა აყენებენ და ცდილობენ „მზა პროექტის“ საკუთარ ნებაზე ამოქმედებით მილიარდები ჩაიჯიბონ(!). ამასთან დაკავშირებით, მოარული ხმების თანახმად, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეროვნულად მოაზროვნე პრემიერ-მინისტრის ი. ღარიბაშვილის თანამდებობა, დიდწილად სწორედ ამ საქმის სახელმწიფოებრივად, ანუ ერის ინტერესების შესაბამისად წარმართვის მცდელობას შეეწირა.

სამწუხაროა, რომ აღნიშნული პროექტი უმოქმედოდ დევს რომელიღაც ბიუროკრატი მოხელის უჯრაში და, მიუხედავად პროექტის ავტორის არაერთხელ მიმართვისა პრესის მეშვეობით, დღევანდელი მთავრობაც მისდამი ინტერესს არ იჩენს(ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანს).

სწორედ ეს ამოვიკითხე პირადად მე, პროფ. პაატა გიორგაძის ბოლო განცხადებიდან, რომელშიც იგი უკვე არამხოლოდ საყვედურს გამოთქვამს, არამედ უიმედობაც ჟღერს: „ქართველები მტკნარი სასმელი წყლის უნიკალური რესურსის წყალობით, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის შვილები ვართ, მაგრამ უბედურება სწორედ ის არის, რომ ამ რესურსის გამოყენებისა და ცხოვრებაში რეალიზების საშუალება არა გვაქვს“ (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2018 წლის 30 ივლისი-5 აგვისტო).

რატომ არ გვაქვს ამის რეალიზაციის საშუალება, ვინ და რა გვიშლის ხელს ამ დიდ საქმეში, ვინ ბლოკავს ამ მართლაცდა ჩვენთვის სასიცოცხლო და უფრო, ზოგადად – საკაცობრიო მნიშვნელობის პროექტის განხორციელებას? ვინ და როდის გასცემს ჭეშმარიტ პასუხს ამ მრავალმნიშვნელოვან კითხვებზე?...

პასუხს მოუთმენლად ელის ქართველი საზოგადოება, სრულიად საქართველო!

რევაზ გოგოხია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
(მობ. 599 10 38 16)

P.S. პროფესორ პაატა გიორგაძესთან, ჩემდა სამწუხაროდ, პიროვნულად არაფერი მაკავშირებს, მას პირადად არ ვიცნობ. მე მხოლოდ მომხიბლა (ვინ ჭკუათამყოფელს არ მოხიბლავს) მისმა გრანდიოზულმა პროექტმა. არ მასვენებს კითხვა – რატომ არ ეხმაურება ამ საქმეს ეკონომიკის ან ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მთავრობა, პარლამენტი, მეცნიერები? რა ხდება? – იქნებ პროექტი ფანტაზიის ნაყოფია – მაშინ გვითხარით, დაგვისაბუთეთ, გაგვარკვიეთ, დაგვაჯერეთ... დროა გადაჭრით ბრძანოს მთავრობამ – კი თუ არა? ქართველი საზოგადოება, მთელი ხალხი ამის მოლოდინშია!

რ.გ. 30.08.18

P.P.S. წინამდებარე სტატიის გადაგზავნა გაზეთის რედაქციაში გარკვეულწილად შევაყოვნე, რისი მიზეზიც საქართველოში სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ატეხილი აღვირახსნილი „გირჩული გიჟური“ აჟიოტაჟია ე.წ. „მარიხუანის კულტივაციის ეკონომიკური სარგებლის“ გამო. გარდა იმისა, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში სატანისეული კანაფი არალეგალურია, მისი საქართველოში წარმოება – ექსპორტით მიღებული შემოსავალი და, რაც მთავარია, სარგებელი მრავალჯერ ჩამოუვარდება ქართული ღვთივკურთხეული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციით მიღებულს, ან კიდევ „რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს ბავშვებს“ (ილია II-ის ა/წ 16 აგვისტოს საკვირაო ქადაგებიდან).

ასე რომ, ჩვენი კითხვები „ქართული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის კონცეფციის“ ამოქმედების თაობაზე, არათუ ძალაში რჩება, არამედ კიდევ უფრო დამაჯერებელი, ურყევი და მტკიცე ხდება.

რ.გ. 17.09.2018

საპრეზიდენტო სიებსაც აყალბებენო...

საქართველოს **მთავარ პროკურატურაში პოლიტიკური გაერთიანება „სახელმწიფო ხალხისთვის“ პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შესაძლო გაყალბების ფაქტზე გამოძიება დაიწყო, სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.**

გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა პროკურატურისადმი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 18 სექტემბრის მომართვა, საპრეზიდენტო კანდიდატების მხარდამჭერთა სიის შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით.

უწყების ცნობით, გამოძიების ეტაპზე, საქმესთან დაკავშირებით, ჩატარდება სრულყოფილი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კი დამატებით ეცნობება საზოგადოებას.

ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲫᲘᲓᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ?!.

ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ, ᲛᲘᲗ ᲛᲔᲢᲡ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲖᲔ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) ᲓᲦᲔᲡ, როდესაც სულ უფრო მეტი ადამიანი იყენებს ამ ნარკოტიკს დაავადებების სამკურნალოდ, კანაფის მეცნიერება ხელახლა იბადება. როგორც აღმოჩნდა, მცენარე, რომელიც დღესაც პირველი რიგის ნარკოტიკად კლასიფიცირდება, უამრავ გასაოცარ სიურპრიზს გვთავაზობს. ხელახლა დაიწყეს მისი კვლევა ამერიკაშიც – ცოტა ხნის წინათ, აშშ-ის ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენელმა ვივეკ მურთმა, რომელიც მარიხუანის შესახებ სამეცნიერო ნაშრომებს სწავლობს, აღნიშნა, რომ „წინასწარი მონაცემებით, ეს მცენარე, შესაძლოა, გარკვეული დაავადებების და მათი სიმპტომების შემთხვევებში დაგვეხმაროს “.

კანაფის გამოყენება სამედიცინო მიზნებისათვის დაშვებულია აშშ-ის 23 შტატსა და კოლუმბიის ოლქში. ამერიკელთა უმეტესობა მისი გართობის მიზნით ლეგალიზაციის მომხრეა. მარიხუანის მიმართ მიდგომის შეცვლაზე ბევრს ფიქრობენ სხვა ქვეყნებშიც. ურუგვაიში ხმა მისცეს მის ლეგალიზაციას. პორტუგალიამ კანაფის დეკრიმინალიზაცია მოახდინა. ისრაელში, კანადასა და ნიდერლანდებში მარიხუანის სამედიცინო პროგრამები მოქმედებს. ასევე, უკანასკნელ წლებში მთელ რიგ ქვეყნებში მარიხუანის ფლობასთან მიმართებაში კანონმდებლობის ლიბერალიზაცია მოხდა.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲭᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ. ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲭᲔᲚᲘᲗᲘᲚ ᲰᲐᲔᲠᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲘᲡ ᲓᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲐᲛ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲮᲘᲗᲮᲘᲗᲘ, ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲭᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲖᲔᲠᲐ ᲐᲜ ᲡᲐᲡᲣᲡᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲮᲐᲠᲑᲘ ᲚᲢᲝᲚᲕᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲡ. ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲜᲐᲘᲠᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ, ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲐ.

მარიხუანის მომხრეების აზრით, ეს მცენარე მნიშვნელოვნად ამცირებს ნერვულ დაძაბულობას. მრავალი ადამიანისთვის იგი ტკივილის შემსუბუქების, საძილე, მადის მასტიმულირებელი და ცხოვრებისეულ სტრესებთან გამკლავების საშუალებაა. ასევე, მიიჩნევენ რომ მას ტკივილგამაყუჩებელი, ღებინების საწინააღმდეგო, ბრონქების გამაფართოებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი აქვს. დადგენილია, რომ ის შველის სლოკინის მძიმე შემთხვევებსაც. ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, მცენარეში შემავალი გარკვეული ნივთიერებები ეხმარებიან ორგანიზმს სასიცოცხლო ფუნქციების რეგულირებაში – იცავენ ტვინს ტრავმისგან, აძლიერებენ იმუნურ სისტემას, სასიკეთოდ მოქმედებენ კატასტროფების შემდგომი „მეხსიერების დაქვეითების“ შემთხვევებში.

დღეს მთელს მსოფლიოში აშკარაა მცდელობა, აქციონ კანაფი საყოველთაოდ მისაღებად – დააწესონ რეგულაციები, შემოიღონ გადასახადი, ანუ მოაქციონ მარიხუანა კანონის ჩარჩოებში და მას სასაქონლო სახე მისცენ. ამ ფონზე მნიშვნელოვანი კითხვები ჩნდება: მაინც რას წარმოადგენს ეს მცენარე? როგორია იგი ბიოლოგიური და ქიმიური თვალსაზრისით? რეალურად რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმსა და ტვინზე? რა ინფორმაციის გაცემა შეუძლიათ მასში შემავალ ქიმიურ ნივთიერებებს ჩვენი ნერვული სისტემის შესახებ? შეიძლება თუ არა ამ ნივთიერებებით ახალი სასარგებლო მედიკამენტების მიღება?

ᲠᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐᲡ ᲙᲐᲜᲐᲤᲛᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲠᲐᲛᲔ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ?

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ კანაფს ადამიანი კაცობრიობის დასაბამიდან იცნობს, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა პერიოდში, მეცნიერებას მარიხუანის შესახებ რეალური ინფორმაცია არ ჰქონდა. გამოცანად რჩებოდა მისი შემადგენლობაც და მოქმედების მექანიზმიც. მეცნიერები საკუთარ რეპუტაციას უფრთხილდებოდნენ და თავს არიდებდნენ კანონგარეშედ გამოცხადებული და იმიჯშელახული მცენარის კვლევას.

1963 წელს ორგანული ქიმიის ახალგაზრდა სპეციალისტმა რაფაელ მეხოლამმა (თელ-ავივი. ვაიცმანის ინსტიტუტი) გადაწყვიტა, გაერკვია, რა ქიმიური შემადგენლობის იყო ეს იდუმალებით მოცული მცენარე. მას უცნაურად ეჩვენა ის ფაქტი, რომ აქამდე მეცნიერებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა იყო მარიხუანის ძირითადი ფსიქოტროპული ინგრედიენტი (და ეს მაშინ, როდესაც მეცნიერებმა ჯერ კიდევ 1805 წელს მორფინი ოპიუმისგან, ხოლო 1855 წელს – კოკაინი კოკას ფოთლებისგან გამოყვეს). „ეს ერთი უბრალოდ მცენარე იყო, – ამბობს უკვე 84 წელს მიტანებული მეცნიერი, – დაუდგენელი ნივთიერებების ნარევი და სრული დომხალი“.

კვლევის ჩასატარებლად მეხოლამმა ისრაელის პოლიციიდან ხუთი კილოგრამი ჩამორთმეული ლიბანური ჰაშიში გამოიყენა. მკვლევართა ჯგუფთან ერთად მან კანაფიდან გამოყო და, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელოვნური გზითაც მიიღო გარკვეულ ნივთიერებათა სერია, რომლებიც ცალ-ცალკე შეჰყავდა ცდებში მონაწილე მაკაკა-რეზუსების ორგანიზმში. **„ჩვეულებრივ, მაკაკა-რეზუსი საკმაოდ აგრესიული ინდივიდია“, – ამბობს მეხოლამი. თუმცა, ამ ნაერთის შეშხაპუნების შემდეგ მაიმუნები ემპათიურები და მშვიდები ხდებოდნენ. „ვიტყოდი, გაწონასწორებულებიც კი“,** – ღიმილით იხსენებს მეცნიერი.

მეხოლამის შემდგომმა ცდებმა გამოავლინა ის, რაც ახლა მსოფლიომ იცის: კანაფში შემავალი ეს ნაერთი მცენარის ძირითადი აქტიური ინგრედიენტია, გონებაზე მოქმედი სუბსტანცია, რომელიც აგზნებას იწვევს. სწორედ მეხოლამმა თავის კოლეგასთან ერთად აღმოაჩინა ტეტრაჰიდროკანაბინოლი (THC). მან და მისმა გუნდმა გაშიფრეს მარიხუანის კიდევ ერთი მთავარი ინგრედიენტის – კანაბიდიოლის (CBD) ქიმიური სტრუქტურა. კანაბიდიოლს პოტენციურად საკმაოდ ბევრი სამედიცინო თვისება აქვს და ადამიანზე ფსიქოტროპულად არ ზემოქმედებს.

**ᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲛᲔᲮᲝᲚᲐᲛᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲜᲐᲤᲘᲡ ᲛᲔᲪᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲛ, ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲒᲐᲘᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲘᲡ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲪᲘᲐ, ᲗᲮᲚᲔᲚᲘ ᲭᲐᲚᲐᲠᲐ ᲗᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲢᲕᲘᲓᲘᲡ ᲞᲘᲯᲠᲐᲙᲨᲘ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲨᲐᲠᲤᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐᲣᲗᲝᲔᲑᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲘᲔᲠ „ᲨᲚᲐᲥᲡᲔᲑᲨᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ; ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ „ᲰᲐᲓᲐᲡᲐᲡ“ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. ᲝᲗᲮᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲐᲛᲓᲔ ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲛᲐ �კᲔᲗᲘᲚᲛᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲛ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲐᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲐ. ᲙᲐᲜᲐᲤᲡ Ი�გᲘ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ „ᲡᲐᲒᲐᲜᲓᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲚᲐ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ“. ᲛᲘᲡᲛᲐ ᲨᲠᲛᲐᲛᲐ ᲑᲘᲫᲒᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲙᲐᲜᲐᲤᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲣᲑᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲨᲘ. ᲛᲔᲮᲝᲚᲐᲛᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲣᲡᲘᲜᲯᲐᲕᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲐ. თუმცა, ის ძალიან ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებაა მარიხუანის მწეველთა სამყაროში. მის ელექტრონულ მისამართზე სისტემატურად უამრავი თაყვანისმცემლის წერილი მოდის.

„ᲡᲣᲚ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ!“ – ᲕᲔᲮᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ. „MEA CULPA!“ (ᲚᲐᲗ. „ᲩᲔᲛᲘ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ!“) – ᲛᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ.

მეხოლამს მის სამუშაო კაბინეტში ვხვდები, მინდა, ვისაუბროთ მარიხუანაზე, იმაზე, თუ რატომ დაინტერესდა იგი ამ მცენარის კვლევით. ოთახის კედლები მთლიანად წიგნებით სავსე თაროებითა და სხვადასხვა ჯილდოებითაა დაფარული.

ისრაელს მსოფლიოში მარიხუანის ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო პროგრამა აქვს. მეხოლამმა აქტიური როლი ითამაშა მის შექმნაში და შედეგებითაც ამაყობს. 20 000-ზე მეტ პაციენტს მარიხუანის მოხმარების ლიცენზია აქვს ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორებიცაა: გლაუკომა, კრონის დაავადება, ანთება, მადის დაკარგვა, ტურეტის სინდრომი და ასთმა.

მიუხედავად ამისა, კანაფის მეცნიერების პატრიარქი გართობის მიზნით კანაფის მოხმარებასა და ლეგალიზებას არ ემხრობა. არა, იგი არ ფიქრობს, რომ ვინმე ციხეში უნდა იჯდეს მისი შენახვისთვის, მაგრამ ამტკიცებს, რომ მარიხუანა სულაც არ არის „უწყინარი ნივთიერება“, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. იგი იმოწმებს კვლევებს, რომლებიც აჩვენებენ, რომ მაღალი THC-შემცველობის მქონე მარიხუანის ხანგრძლივად მოხმარებას განვითარებადი ტვინის ზრდის პროცესის შეცვლა შეუძლია. ის აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ადამიანში მარიხუანას შეუძლია სერიოზული შფოთის შეტევების პროვოცირება და მიუთითებს კვლევებზე, რომელთა ვარაუდით, მარიხუანამ, შესაძლოა, გამოიწვიოს შიზოფრენია ამ დაავადების მიმართ გენეტიკური მიდრეკილებების მქონე ადამიანებში.

მისი აზრით, გართობის მიზნით მარიხუანას მოწევის ხშირად უპასუხისმგებლო და სულელური კულტურა მთლიანად უნდა ჩანაცვლდეს კანაფის, როგორც მკაცრად რეგულირებული და მუდმივი დაკვირვების ქვეშ მყოფი სამკურნალო ნივთიერების, სერიოზული მოხმარებით. „დღეს ადამიანებმა წესიერად არც იციან, რას იღებენ, – უკმაყოფილოდ ამბობს მეცნიერი, – სამკურნალოდ გამოყენებისას, ის დოზირებული უნდა იყოს. თუკი ვერ ითვლით დოზას, ეს უკვე არ არის მეცნიერება“.

1992 წელს კვანტიფიკაციის ძიებამ მეხოლამი მცენარიდან ადამიანის ტვინის ლაბირინთების ღრმა სამალავებამდე მიიყვანა. იმავე წელს მან, რამდენიმე კოლეგასთან ერთად, არაორდინარული აღმოჩენა გააკეთა - ადამიანის ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ქიმიური ნაერთი, რომელიც ტვინში იმავე რეცეპტორს უკავშირდება, რომელსაც THC. მეხოლამმა მას ანანდამიდი უწოდა, რაც სანსკრიტზე „უმაღლეს მხიარულებას“ ნიშნავს (როდესაც ვკითხეთ, თუ რატომ არ მიანიჭა ებრაული სახელწოდება, მან გვიპასუხა: „იმიტომ, რომ ივრითში არც ისე ბევრია ბედნიერების გამომხატველი სიტყვა. ებრაელებს არ უყვართ იყვნენ ბედნიერები“).

მას შემდეგ კიდევ აღმოაჩინეს რამდენიმე ე. წ. ენდოკანაბინოიდი და მათი რეცეპტორი. მეცნიერები მიხვდნენ, რომ ენდოკანაბინოიდები ურთიერთქმედებენ გარკვეულ ნერვულ ქსელთან – უმეტესწილად ისე, როგორც ენდორფინები, სეროტონინი და დოფამინი. მეხოლამი აღნიშნავს, რომ სავარჯიშომ აჩვენა ენდოკანაბინოიდების დონეების აწევა ტვინში, რაც „სავარაუდოდ, ხსნის იმას, რასაც ძუნძულის მოყვარულები „მორბენალის ეიფორიას“ უწოდებენ. ეს ნაერთები, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი ძირითადი ფუნქციების ნორმალურად მუშაობაში, როგორიცაა მეხსიერება, კოორდინაცია, მოძრაობა, კარგი იმუნიტეტი და ნეიროპროტექცია.

როგორც წესი, კანაფისგან მედიკამენტების დამზადებისას ფარმაცევტული კომპანიები ამ მცენარისგან ცალკეული კომპონენტების გამოყოფას ცდილობდნენ. თუმცა, მეხოლამი ეჭვობს, რომ ეს ნივთიერებები მარიხუანაში ნაპოვნ სხვა ნაერთებთან ურთიერთქმედებისას ბევრად უფრო ეფექტურები არიან, ვიდრე ცალ-ცალკე. იგი ამას „თანხლების ეფექტს“ უწოდებს, რაც კანაფის ერთ-ერთი საიდუმლოა იმ უამრავ საიდუმლოებას შორის, რომლებიც, მისი თქმით, შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

„ᲩᲕᲔᲜ ᲯᲔᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲤᲮᲘᲙᲔᲗ ᲓᲐ ᲕᲬᲣᲮᲐᲠ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲛ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲛᲘᲕᲣᲫᲦᲕᲜᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲙᲕᲘᲝᲗ, ᲘᲦᲔᲑᲔᲜ �თᲣ ᲐᲠᲐ �კᲐᲜᲐᲑᲘᲜᲝ-

ვიცნობთ კი ამ მცენარეს?!

იდები (თუ იღებენ, რა გზით) მონაწილეობას ადამიანის ყველა დაავადებაში“, — ამბობს ის.

ბოტანიკოსი... სინათლისაკენ!

4000 კვადრატული მეტრი ფართობის შენობა დენვერის ინდუსტრიულ ნაწილში მდებარეობს და „გრინ-მაილის“ სახელითაა ცნობილი. ვერაფრით მიხვდებით რას აკეთებენ ამ საწარმოში. კარი ღრჭიალით იღება და „მაინდფულის“, მსოფლიოში კანაფის ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის მთავარი მებაღე დიდი ამბით მეგებება. სახეზე დრუიდს ჩამოჰგავს, 38 წლის ცისფერთვალება **ფილიპ ჰეიგი** ე.წ. საფარის სტილის ტანისამოსსა და სალაშქრო ფეხსაცმელშია გამოწყობილი. უნდობლად მიღიმის, ეტყობა ისეთი ადამიანია, რომელმაც საკუთარი მოწოდება ნამდვილად იპოვა, თუმცა მანამდე მისი ცხოვრება ისე მიდიოდა, დღემდე ვერ იჯერებს რომ ეს შეძლო.

ჰეიგი საკუთარ თავს მებაღეობის ექსპერტს უწოდებს. ამ საქმით რვა წლის ასაკიდანაა გატაცებული და სოფლის მეურნეობის დიდი მეცნიერის — ლუთერ ბერბანკის მიმდევარია. წლების განმავლობაში ჰეიგს ტეხასში, საოჯახო სანერგეში პოინსეტია, კალადიუმი, ქრიზანთემა და სხვა სახეობები მოჰყავდა. ახლა კი მთელი ყურადღება ბევრად უფრო სარფიან მცენარეებზე აქვს გადატანილი.

ჰეიგი „მაინდფულის“ ადმინისტრაციის მოფუსფუსე ოფისებსა და შიდა დერეფნებში მიმიძღვის. საყინულეებში მსოფლიოს ყველა მხრიდან (აზია, ინდოეთი, ჩრდილოეთი აფრიკა, კარიბის აუზის ქვეყნები) ჩამოტანილ სათესლე მასალას ინახავს. ჰეიგს მარიხუანის ისტორიული ბიომრავალფეროვნება აინტერესებს. მისი სათესლე ბანკი, რომელშიც მარიხუანის იშვიათი, ველური და უძველესი ჯიშების სათესლე მასალა ინახება, „მაინდფულის“ ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. „უნდა ვაღიაროთ, რომ კაცობრიობა უძველესი დროიდან კანაფთან ერთად ვითარდებოდა, — ამბობს ის, — ეს მცენარე დამწერლობაზე უფრო ძველია. კანაფის მოხმარება ჩვენი ნაწილია. ეს ყოველთვის ასე იყო. ცენტრალური აზიიდან ის ბოლო გამყინვარების პერიოდის (ვიურმული ეპოქა) შემდეგ გავრცელდა და ადამიანთან ერთად მთელ პლანეტას მოედო“.

კოლორადოს „მწვანე რევოლუციას“ ჰეიგი თითქმის დასაწყისში შეუერთდა. 2009 წელს, აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ არ დაიწყებდა იმ ადამიანების სამართლებრივ დევნას, რომლებიც მარიხუანასთან დაკავშირებულ სამედიცინო კანონმდებლობას დაემორჩილებოდნენ. ეს რომ გაიგო, მან ცოლს გადახედა და უთხრა „გადავდივართ დენვერში“. ახლა ის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სანერგეს ხელმძღვანელობს, სადაც 20 000-ზე მეტი ძირი კანაფი ხარობს.

დავდივართ ოთახებში, სადაც მარიხუანის ფოთლები ჰერმეტულ გარემოში ქიმიურ გარდაქმნას განიცდის. შემდეგ დერეფნისკენ ვეშვებით, სადაც ტუმბოები, ვენტილატორები, ფილტრები, გენერატორები და საკრეჭი მანქანები გუგუნებენ. ჩვენ გვერდით სატვირთო მანქანა მიგორავს. სათვალთვალო კამერები ყველაფერს აფიქსირებენ — ახალგაზრდა მუშები საექიმო ხალათებში დაფუსფუსებენ. „მაინდფულს“ დიდი გეგმები აქვს, გაფართოებასა და სხვა შტატებში ანალოგიური ობიექტების აშენებას აპირებს. „მოსაწევი მოდაშია! — რაღაცნაირად გამოფიტულად იცინის, — ძალიან უცნაურია ის, რაც აქ ყოველდღე ხდება“.

კარს აღებს. პლაზმური ნათურების კაშკაში თვალებს მწვავს. უზარმაზარ თბილ ოთახში შევდივართ, რომელიც ბრიტანული როკ-ჯგუფის Yes-ის კონცერტების სურნელითაა გაჟღენთილი. თვალი შევაჩვიე და მცენარე ჩემ წინაშე მთელი თავისი დიდებულებით წარსდგა — ორი მეტრი სიმაღლის ათასობით მდედრობითი სქესის მცენარე საკვები ნივთიერებებით სავსე წვენში ჩაძირული ფესვებით. წვეტიანი ფოთლები ვენტილატორების მონაბერ ნიავზე ირხევიან. აქ, თვალის ერთი შევლებით, ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების კუსტარული მოსაწევია.

წინ ვიხრები, მინდა ამ ფხვნილისებრი, მჭიდროდ შეკრული კვირტებიდან (კვირტი იისფერ-ყავისფერია და თეთრი ზოლებითაა დაღარული) ერთ-ერთს ვუყნოსო. ეს პაწაწინა ტრიქომები საკმაო რაოდენობით გამოყოფენ კანაბინოიდებით მდიდარ ფისს. მას „Highway Man”-ს უწოდებენ, ვილი ნელსონის სიმღერის მიხედვით. ჰეიგის გამოყვანილი ეს ჰიბრიდული ჯიში THC-ს მაღალი შემცველობით გამოირჩევა. საუკეთესო ნაწილებს ხელით მოაჭრიან, გააშრობენ, დააკონსერვებენ, შეფუთავენ და „მაინდფულის“ ერთ-ერთ აფთიაქში წაიღებენ. **„რამდენიმე დღეში მოსავალს ავიღებთ“,** — ამას ისეთი თვითკმაყოფილი ტონით აცხადებს, გეგონებათ, ავტორიტეტული სელექციონერია, გამოყვანილი ჯიშებისთვის საერთაშორისო ჯილდოები რომ მოიპოვა.

თუმცა ჰეიგმა კიდევ უნდა მაჩვენოს რაღაც... შევდივართ ერთ მაღალტენიან, თითქმის ჩაბნელებულ სანაშენე ოთახში. ეს ყვითელიარლიყიანი ნორჩი მცენარეები მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო მიზნებისთვის მოჰყავთ. ისინი ყველანი დედა-მცენარისგან არიან კლონირებული. ჰეიგი ამაყობს ამ ჯიშით, რადგან ის თითქმის არ შეიცავს THC-ს, თუმცა მდიდარია CBD-თი და სხვა კომპონენტებით. მართალია, სამეცნიერო შედეგებით ჯერ არ დამტკიცებულა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ამ მცენარით შესაძლებელია ისეთი დაავადებების მკურნალობა, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი, ფსორიაზი, პოსტტრავმული სტრესის სინდრომი, დემენცია, შიზოფრენია, ოსტეოპოროზი და ლატერალური ამიოტროფული სკლეროზი (ლუ გერიგის დაავადება).

„რა შეუძლიათ THC-ს დაბალი შემცველობის ამ სახეობებს? ამაზე ფიქრი არ მასვენებს, ღამით ძილს მიფრთხობს“, — ამბობს ჰეიგი და ამატებს, მარიხუანა უამრავ ისეთ ნივთიერებას შეიცავს (კანაბინოიდებს, ფლავონოიდებს, ტერპენებს), რომელთა სიღრმისეული კვლევა არასდროს განხორციელებულაო.

„სულელურად მოგეჩვენებათ ჩემი სიტყვები, მაგრამ მჯერა, რომ კანაფს ცნობიერება აქვს. ის დაიღალა მუდმივი დევნით და მზად არის, სინათლეზე გამოვიდეს“, — ამბობს ჰეიგი და მოსიყვარულე მამასავით ეფერება ერთ-ერთ კალამს.

ბიოქიმიკოსი... უებარი ნამალი?

დღეს თითქმის ყველას გაუგია, რომ კანაფი აქტიურად გამოიყენება კიბოთი დაავადებულებისთვის პალიატიური მკურნალობის დროს; განსაკუთრებით, ქიმიოთერაპიის ზოგიერთი უსიამოვნო გვერდითი ეფექტის შესამსუბუქებლად. ეჭვგარეშეა, რომ მოსაწევს გულისრევის თავიდან აცილება, მადის გაუმჯობესება, ტკივილთან და უძილობასთან გამკლავება შეუძლია. მაგრამ შეუძლია კი კიბოს დამარცხება? მოძებნეთ ინტერნეტში და ათასობით თუ არა, ასობით მსგავს მტკიცებას ნახავთ. Google-ს მინდობილი გულუბრყვილო მაძიებელი ადვილად დაიჯერებს, რომ კაცობრიობამ ჯადოსნური სამკურნალო საშუალება აღმოაჩინა.

ამგვარი მტკიცებების უმეტესობა, საუკეთესო შემთხვევებში მეცნიერულად დაუსაბუთებელია, ხოლო უარეს შემთხვევებში — თაღლითური. თუმცა, ამასთან ერთად, მართლაც არსებობს ლაბორატორიული მონაცემები, რომელთა მიხედვით, კანაბინოიდებს, შესაძლოა, კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება ჰქონდეს. ამ მონაცემების დიდ ნაწილს მივყავართ ესპანეთში, ერთ ლაბორატორიამდე, რომელსაც გონიერი და წინდახედული ადამიანი, **მანუელ გუზმანი** ხელმძღვანელობს.

გუზმანი ბიოქიმიკოსია, კანაფს დაახლოებით 20 წლის განმავლობაში სწავლობდა. მასთან შესახვედრად მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტში მივდივარ. 50 წელს ოდნავ გადაცილებული სიმპათიური მამაკაცი, ცისფერი თვალებითა და ჭაღარაშერეული, წაბლისფერი გაბურძგნილი თმით, ისე სწრაფად და ისე ხმადაბლა ლაპარაკობს, მისკენ თუ არ დაიხარე, ვერაფერს გაიგებ. „საგაზეთო სტატია მყვირალა სათაურით: **„ტვინის კიბო კანაფმა დაამარცხა!“** — ნამდვილად ტყუის. ინტერნეტშიც ნახავთ ბევრ, მაგრამ ძალიან სუსტ მტკიცებულებას“.

ეს თქვა და რამდენიმე წამს თვალებმოჭუტული ჩაფიქრდა, მერე კვლავ კომპიუტერს მიუბრუნდა, „თუმცა, შეიძლია რაღაც გაჩვენოთ,“ — განაგრძო მან. ეკრანზე ვირთაგვას ტვინის ორი ტომოგრამა გამოისახა. ცხოველს მარჯვენა ნახევარსფეროში დიდი ზომის სიმსივნე აქვს. ის გუზმანის თანამშრომლებმა ადამიანის ტვინის სიმსივნის უჯრედების შეყვანით წარმოქმნეს. გუზმანი გამოსახულებას ადიდებს. სიმსივნე საზარლადაა გამობერილი. მე მგონი, ვირთაგვა სასიკვდილოდაა განწირული. „ამ კონკრეტულ ცხოველს ერთი კვირა THC-ს ვაძლევდით, — განაგრძობს გუზმანი, — და ნახეთ, რა მოხდა მერე“. ეკრანზე ტვინის ორი გამოსახულება მოჩანს. სიმსივნე არა მხოლოდ დაპატარავდა, სრულიად გაქრა. „როგორც ხედავთ, სიმსივნე საერთოდ აღარ არის“.

ამ კვლევის შედეგად გუზმანმა და მისმა კოლეგებმა (რომლებიც 15 წლის განმავლობაში აძლევდნენ კანაფის კომპონენტებს კიბოს მეტასტაზებით დასნებოვნებულ ცხოველებს) აღმოაჩინეს, რომ ვირთაგვების ერთ მესამედში სიმსივნე აღმოიფხვრა, ხოლო მეორე მესამედში — დაპატარავდა.

ასეთი აღმოჩენა მსოფლიოს ძალიან ააფორიაქებს. გუზმანი ნერვიულობს, რომ მისი წარმატებული კვლევა ცრუ იმედებს ჩაუსახავს სიმსივნით დაავადებულებს და გაზრდის მოჩვენებითი ინტერნეტ-მტკიცებულებების რაოდენობას. „პრობლემა ისაა, რომ თაგვი არ არის ადამიანი, ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, საერთოდ, შეიძლება თუ არა მისი გამოყენება ადამიანების შემთხვევაში“.

https://www.nationalgeographic.com/magazine/2015/06/marijuana-science-drug-research-legality

NATIONALGEOGRAPHIC

(დასასრული მორიგ ნომერში)

ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, ეს არის ქვეყნის ავღანეთიზაცია, კოლუმბიიზაცია და პაკისტანიზაცია

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტში დეკანოზმა დავით ქვლივიძემ განუცხადა.

მისი თქმით, ნარკოტიკი იქნება კიდევ ერთი ნაღმი ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს ქვეყანას აქცევს საბრძოლო პოლიგონად.

„ერთხელ მოიყვანეთ „მორფინისტების“ ცოლები და დედები და ალაპარაკეთ, რა დღეები აქვთ გადატანილი,“ — განაცხადა დეკანოზმა.

კითხვაზე, კანონის მიღების შემთხვევაში, როგორი იქნება სასულიერო პირების დამოკიდებულება, ის ამბობს, რომ „ჩვენი მოწოდება ყოველთვის იქნება, რომ ხალხი, ვისაც ასეთი კანონი შემოაქვს, არ აირჩიოთ, ქვეყნის სადავეები არ ჩაუგდოთ ხელში“.

ცნობისთვის, მარიხუანას მოხმარების საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ კანონპროექტს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს, რასაც სასულიერო პირებიც დაესწრებიან.

დღევანდელი პოლიტიკური ელიტა რკინის ცოცხითაა გასახვეტი

ამის შესახებ ლევან ვასაძემ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში კანაფის ექსპორტის საკითხზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ამ ჩვენს დაქცეულ ქვეყანაში ელემენტარული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანაც კი ვერ ააწყო სახელმწიფომ. 80-92% იმისა, რასაც ჩვენ თბილისში ვჭამთ, ამ დალოცვილ, მსუყე, ნოყიერ მიწაზე კი არ მოდის, არამედ შემოდის თუქრეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

„თქვენ თქვენივე ხელით აფეთქებთ ამ ქვეყანას და ვიღაც რიგით 52-ე ფინანსთა მინისტრის რაღაც ყროყინს უსმენთ, რომ ეს ქვეყანას შემოსავალს მოუტანს. რკინის ცოცხით არის გასახვეტი დღევანდელი პოლიტიკური ელიტა, შესაცვლელია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის სისტემაც, იმიტომ, რომ ეს ე.წ დემოკრატიული სისტემა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ... ჩვენ ხომ ვხედავთ რასთან გვაქვს საქმე, ძალიან მწყინს. 1%-ს მაინც ვინარჩუნებ იმედისას, რომ ბიძინა ივანიშვილი გაიღვიძებს ამ ჰიპნოზისაგან და გადადგამს იმ ნაბიჯებს, რომელიც ჩვენ მოგვცემს საშუალებას, რომ მას კეთილი სახელი შევუნაჩუნოთ ამ ქვეყანაში“, — აღნიშნა ლევან ვასაძემ.

თედო ჯაფარიძის პასუხი ედვარდ ლუისს

ბრიტანეთის გაზეთ „FINANCIAL TIMES“-ში გამოქვეყნდა სტატია (ავტორი – ედვარდ ლუისი), რომელიც კრიტიკული პათოსითაა დაწერილი და მასში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობა საკმაოდ ნეგატიურადაა წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოფილმა მრჩეველმა თედო ჯაფარიძემ წერილი გაუგზავნა ბრიტანული გაზეთის რედაქციას, რომელშიც ნათქვამია:

„რეალობა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ სურათისგან, რომლის გადმოცემასაც ედ ლუისი ცდილობს თქვენს გაზეთში 14 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში.

ჩვენ, ქართველები უარს არ ვამბობთ დასავლურ დემოკრატიულ ორიენტაციაზე და თავს არ ვგრძნობთ ამერიკისგან მიტოვებულად. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელისა და ნატოს გენმდივნის იენს სტოლტენბერგის ამასწინანდელმა ვიზიტებმა ხაზი გაუსვეს იმ პროგრესს, რომელსაც საქართველომ 2012 წლიდან მიაღწია თავისუფალი საბაზრო დემოკრატიული სისტემის შექმნაში და რომელიც წარმატებით ინტეგრირდება დასავლეთთან. ჩვენს სიცოცხლისუნარიან დემოკრატიაზე გავლენას არავინ არ ახდენს – არც მთავრობის შიგნიდან, არც მის გარედან.

თბილისისთვის ნათელია, რომ ერთადერთი რეალური გზა მდგომარეობს იმაში, რომ ევროპასთან ურთიერთობას ხარჯვა-მოგების (რენტაბელობის) პრინციპით კი არ შევხედოთ, არამედ იმ ფასეულობების მიხედვით, რომლებიც ჩვენს წინაშე მდგარი მრავალი პრობლემის მოგვარების საფუძველი გახდება. დასავლეთი ჩვენთვის მხოლოდ ადგილმდებარეობა არ არის, დასავლეთი ჩვენთვის უპირველესად იდეას წარმოადგენს. საქართველო ისწრაფვის, გახდეს მრავალმხრივი მიმართულების მქონე საკვანძო წერტილი, რომელიც ჩვენს დასავლელ პარტნიორებს აღმოსავლურ სამყაროსთან უფრო მჭიდროდ დააკავშირებს.

მაგრამ საკუთარი პრინციპებისადმი ერთგულება არ ნიშნავს იმას, რომ ისეთმა პატარა სახელმწიფომ, როგორიც საქართველოა, მის ირგვლივ მიმდინარე მშფოთვარე მოვლენების იგნორირება მოახდინოს და მათ ყურადღება არ მიაქციოს. მარტივი გათვლები დასავლეთ-აღმოსავლეთის უპირატესობაზე უკვე საკმარისი აღარაა, ნაკლებად აქტუალურია სულ უფრო მეტად ინტეგრირებულ თანამედროვე მსოფლიოში. ეს გვიბიძგებს კარგი ურთიერთობების ძიებისაკენ ჩვენს ყველა მეზობელთან, მათ შორის რუსეთთან, აგრეთვე თურქეთთან, ირანთან და ჩინეთთანაც კი. ჩვენ ვაშენებთ მშვიდობის ახალ საფუძველს იმავე რწმენითა და მიზანდასახულობით, როგორიც ამერიკა ბალკანეთზე ომის დასრულებას ესწრაფვოდა.

2017 წლის მაისში, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის აშშ-ში ვიზიტის დროს ვაშინგტონში გამართულ დისკუსიაზე სენატორმა ჯონ მაკკეინმა აღტაცება გამოხატა საქართველოს პროგრესის გამო და მას ძლიერ მხარდაჭერას დაჰპირდა დასავლეთთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციის საკითხში. გარწმუნებთ, რომ ჩვენ ამ კურსიდან არ გადავუხვევთ“.

„FINANCIAL TIMES“ (დიდი ბრიტანეთი)

საქართველოში მეაბრეშუმეობით არაბები და ჩინელები ინტერესდებიან

როგორც სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეაბრეშუმე ნარგიზ ბარამიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, თუ სახელმწიფოს მხრიდან მეაბრეშუმეობის ძველი სახელის აღდგენაზე მუშაობა დაიწყება, 3-4 წელიწადში აბრეშუმის წარმოებით ქვეყანის ეკონომიკას კარგ შედეგს მოუტანს. ბარამიძის განცხადებით, პირველი ნაბიჯი თუთის პლანტაციების გაშენება უნდა იყოს, დღეს კი არსებული ხეების გაყიდვა ხდება, რაც შეეხება მომდევნო ნაბიჯს ეს აბრეშუმის წარმოებისთვის საჭირო ფაბრიკა-ქარხნების ამოქმედებაა.

როგორც აღმოჩნდა, მეაბრეშუმეობის მიმართ ქვეყანაში დიდ ინტერესს არაბები იჩენენ. ისინი ნიჩბისში 22 ჰა-ზე თუთის პლანტაციას აშენებენ. არაბების გარდა საქართველოში მეაბრეშუმეობით ჩინელებიც არიან დაინტერესებულები.

„ქვეყანაში მეაბრეშუმეობის კულტურის აღდგენისთვის სახელმწიფოს მხრიდან ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. პირველ რიგში უნდა გაშენდეს თუთის პლანტაციები. კახეთში თუთის პლანტაციები გვაქვს, თუმცა ელექტრონული აუქციონის წესით მისი გაყიდვა ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ამ ყველაფერს ებრძვის, მისი გაყიდვა მაინც ხდება. რეგიონებში ხალხს ძალიან უნდა უძველესი კულტურის აღდგენა, რადგან მეაბრეშუმეობა შემოსავლიანი დარგია,“ – განმარტა ბარამიძემ.

მეაბრეშუმე ჩვენთან საუბრისას უძველესი კულტურის აღდგენაზე საუბრობს და აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კონსულტაციები მიმდინარეობს, რათა შემუშავდეს პროგრამა, რომლის დახმარებითაც თანხა საგრენაჟო (აბრეშუმის ჭიის) ქარხნის შექმნას მოხმარდება.

ნარგიზ ბარამიძის განცხადებით, გრენას უცხოეთში დიდი ფასი ექნება. მისივე თქმით, ქვეყანამ ბიზნესის განვითარება ერთი მიმართულებიდან უნდა დაიწყოს. ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი მომგებიანი აბრეშუმის ქსოვილის გატანა იქნება.

მეაბრეშუმეობის აღორძინებაზე და უძველესი კულტურის განვითარებაზე სახელმწიფო ამ ეტაპზე სათანადოდ არ ზრუნავს, თუმცა წარსულში როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზრებზე ქართულ აბრეშუმს ყველაზე მაღალი ნიშა ეჭირა.

საქართველოში აბრეშუმის წარმოება საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ოფიციალურად ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში წელიწადში 6 000 ტონა აბრეშუმის პარკს ამზადებდნენ, საბჭოთა პერიოდში კი, აბრეშუმის წარმოება უმაღლეს საფეხურზე ავიდა და 4 500 ტონა მზადდებოდა.

საქართველო 60-იან წლებში აბრეშუმის ხარისხით მოწინავე ადგილზე იყო. სწორედ ამ პერიოდში 4,5 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი მზადდებოდა და 5 მილიონი მეტრი ქსოვილი ექსპორტზე გადიოდა. ქართული აბრეშუმის ძირითად საექსპორტო არეალს ევროპა წარმოადგენდა, ასევე საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალში შედიოდა რუსეთი და თურქეთი.

მიუხედავად წარსულში ბევრი მნიშვნელოვანი მიღწევისა მეაბრეშუმეობაში, ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სერიოზული წყვეტაა, საქართველოში აბრეშუმის პარკის გამოყვანის პროცესი არ შეჩერებულა, თუმცა ქვეყნის შიგნით აბრეშუმის, როგორც ქსოვილის წარმოება და მისი ექსპორტზე გატანა აღარ ხდება.

წარსულისგან განსხვავებით, დღეს აბრეშუმის ძაფი და პარკი კილოგრამობით იქმნება. აბრეშუმის პარკის მასობრივი წარმოება აღარ ხდება, რადგან სახელმწიფო მისი შემსყიდველი აღარაა. აბრეშუმის პარკს რეგიონებში ძირითადად კერძო პირები აწარმოებენ, ამჟამად დაახლოებით 100 კგ პარკის მოპოვება ხდება. აბრეშუმის პარკი კახეთში (სიღნაღში), ხარაგაულში და ქობულეთში იწარმოება, ხოლო მისგან დამზადებული ნივთები ძირითადად ტურისტებზე იყიდება.

ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ 90-იან წლებში დაზგა-დანადგარები თურქეთში ჯართის სახით გაიყიდა. ფაბრიკა-ქარხნების აღდგენაზე ამჟამად არავინ ზრუნავს ეს მაშინ, როდესაც ქართული აბრეშუმი ხარისხით მოწინავე ადგილს იკავებდა და მსოფლიოში აღიარებული იყო.

ამას მიუთითებს უახლესი წარსულიც – ქართული აბრეშუმის ბოლო აღიარება, 1998 წელს მადრიდში, მიღებული ევროპის ხარისხის კომისიის მიერ „პლატინის ვარსკვლავი“ იყო, რომელიც ქართული „მზიურის“ ჯიშის აბრეშუმის ძაფისაგან დამზადებულ ქსოვილს მიანიჭეს.

საუკუნეების წინათ არსებული აბრეშუმის წარმოების კუსტარული დანადგარები საქართველოს აბრეშუმის მუზეუმშიც არის შემონახული. წარსულში მეაბრეშუმეობა სოფლებში მატერიალური კეთილდღეობის წყარო იყო.

ამჟამად ქვეყანას დაახლოებით 50 ქართული აბრეშუმის ჭიის ჯიში ჰყავს. რაც შეეხება ტექნოლოგიას, ამ ეტაპზე სულ ორი პარკსახვევი დანადგარი და ორი საქსოვი დაზგაა. ქვეყანაში რეალურად დიდი რაოდენობის აბრეშუმის ძაფის დამზადება არ ხდება, რადგან ამაში სახელმწიფო თანხას არ იხდის.

საქართველოში შექმნილია ქართული თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდი, რომლის მფლობელია აგრარული უნივერსიტეტი და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

ლიკა გურაბანიძე

ჰილარი კლინტონმა რუსეთში ჩასვლაზე უარი განაცხადა

ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერმა ვალენტინა მატვიენკომ განუცხადა.

„უბრალოდ ვერ ახერხებს ჩამოსვლას, როგორც ჩანს, სერიოზული მიზეზი აქვს. საელჩოს მეშვეობით შემოგვითვალა, რომ სამწუხაროდ, ამ დროს ვერ ახერხებს ჩამოსვლას“,– განაცხადა მატვიენკომ. ევრაზიის ქალთა ფორუმი 19-21 სექტემბრის ჩათვლით სანკტ-პეტერბურგში გაიმართება. ფორუმში მიიღებენ მონაწილეობას ევროპის საბჭოს ხელმძღვანელი პირები, პარლამენტთაშორისი კავშირის წარმომადგენლები, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე, ასევე ამერიკული დელეგაციის ვიზიტია მოსალოდნელი.

იემენში 5,2 მილიონი ბავშვი შიმშილობს

შესაბამის მონაცემებს საერთაშორისო ორგანიზაცია Save the Children-ი ავრცელებს.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ წლის ბოლომდე შიმშილისგან 36 ათას ბავშვს სიკვდილი ემუქრება.

„მილიონობით ბავშვმა არ იცის, როდის მოუწევს საკვების მიღება. ჩრდილოეთ იემენის ერთ-ერთ საავადმყოფოში ვიმყოფებოდი, სადაც ბავშვები იმდენად დასუსტებული არიან, რომ ტირილიც აღარ შეუძლიათ. მათი სხეული შიმშილის გამო დაუძლურებულია. ომი იემენში ბავშვების მთელი თაობის დაღუპვის საფრთხეს ქმნის. ბავშვები უამრავი საფრთხის წინაშე არიან, დაწყებული ბომბებიდან, შიმშილითა და ქოლერის მსგავსი დაავადებებით დამთავრებული“, – განაცხადა ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰელე თორნინგ-შმიდტმა. იემენში ჰუსიტებთან ომის შედეგად საკვებზე ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, გარდა ამისა, ქვეყანაში ეროვნული ვალუტა გაუფასურდება.

გაეროს მონაცემებით, იემენში მიმდინარე კონფლიქტს 10 ათასი ადამიანი ემსხვერპლა, გარდაცვლილია ორი მესამედი სამოქალაქო პირი. გარდა ამისა ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ 2017 წლის მონაცემით მსოფლიოში 821 მილიონი ადამიანი შიმშილობს, ანუ ყოველი მეათე ადამიანი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ - FORBES -ᲘᲡ ᲢᲝᲠ-10

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ **სია შედგება 100 ცნობილი ქალისგან — მათ შორის არიან შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, ტელეწამყვანები და მწერლები.**

ჟურნალი ადგენს რეიტინგს კომპანიებისთვის Nielsen, Pollstar, IMDB, SoundScan, NPD BookScan **და** ComScore-**ს მონაცემებზე დაყრდნობით.**

1. ᲙᲐᲘᲚᲘ ᲯᲔᲜᲔᲠᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 166,5 მლნ.

ასაკი — 20 წელი

შემოსავლის წყარო — კოსმეტიკა

კარდაშიანების ოჯახის უმცროსმა დამ იშოვა მეტი ფული, ვიდრე მისმა ყველა ნათესავმა ერთად. 2 წლის წინ კაილიმ დააარსა კოსმეტიკური კომპანია Kylie Cosmetics, რომელმაც მოუტანა მას 800 მლნ. დოლარი — ეს წარმატება განაპირობა კაილის პოპულარობამ სოციალური ქსელებში. მისი ბრენდის ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია პომადა, რომელიც გაიყიდა ბაზარზე გამოჩენიდან 24 საათში.

2. ᲯᲣᲓᲘᲗ ᲨᲔᲘᲜᲓᲚᲘᲜᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 147 მლნ.

ასაკი — 75 წელი

შემოსავლის წყარო — ტელევიზია

ჯუდიტ შეინდლინი გახდა ცნობილი ტელეშოუ „მოსამართლე ჯუდიტ“-ის წყალობით, რომელიც გაგრძელდა 22 სეზონი. ეს იყო ამერიკული ტელევიზიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი. ტელეწამყვანობამდე ის იყო ნიუ-იორკის მოსამართლე, ტელევიზიაში კი დაიწყო მუშაობა უკვე 52 წლის ასაკში. 2017 წელს მან მესამედ მიიღო სატელევიზიო პრემია „ემი“. „მოსამართლე ჯუდიტში“ მონაწილეობისთვის ის იღებს წელიწადში 47 მლნ.

3.ᲔᲚᲔᲜ ᲓᲔᲯᲔᲜᲔᲠᲡᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 87,5 მლნ.

ასაკი — 60 წელი

შემოსავლის წყარო — ტელევიზია

2018 წელს დეჯენერსმა შეიძინა ახალი სტატუსი — ქალი, რომელმაც გამოიმუშავა 20 მლნ. დოლარი Netflix-სთვის შექმნილ ტელეშოუს წყალობით. დეჯენერესი მუშაობს ტელეწამყვანად უკვე 15 წელია. მას აქვს მიღებული 14 „ემი“ და თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი, რომელიც მას გადასცა ბარაკ ობამამ. შემოსავლების სოლიდურ ნაწილს ის იღებს სარეკლამო კოტრაქტებიდან, ასევე ელენი არის NBC-ზე ტელეშოუ Little Big Shots-ის პროდიუსერი, ფლობს ტექნოლოგიურ კომპანიას, რომელმაც შექმნა მობილური თამაში Heads Up. 2017 წელი გახდა ყველაზე შემოსავლიანი დეჯენერსის კარიერაში.

4. ᲙᲔᲯᲘ �პᲔᲠᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 83 მლნ.

ასაკი — 33 წელი

შემოსავლის წყარო — მუსიკა

მომღერალი გახდა ფართოდ ცნობილი მსოფლიოში სინგლის „I Kissed a Girl“-ის გამოსვლის შემდეგ. 2016 წლის 14 ივლისს შედგა მისი სიმღერის „Rise“-ის პრემიერა, რომელიც შემდეგ გახდა ოლიმპიადის ჰიმნი. კეტი პერი განთქმულია შრომისმოყვარეობით — 2018 წელს მან ჩაატარა 80 კონცერტი. გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მან მიიღო მონაწილეობა მუსიკალურ ტელეშოუ American Idol-ში, სადაც იყო ჟიურის ერთ-ერთი წევრი.

5. ᲢᲔᲘᲚᲝᲠ ᲡᲕᲘᲤᲢᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 80 მლნ.

ასაკი — 28 წელი

შემოსავლის წყარო — მუსიკა

გამოსვლიდან 2 კვირაში გაიყიდა მისი ალბომის Reputation-ის 2 მლნ. ეგზემპლარი, ხოლო თავად ალბომი გახდა ყველა გაყიდვადი 2017 წელს. საკონცერტო გასტროლები არის ტეილორ სვიფტის შემოსავლის ძირითადი წყარო, თუმცა ამის გარდა ის იღებს სოლიდურ თანხებს სარეკლამო კონტრაქტებისგან ისეთ კომპანიებთან, როგორც Keds, Diet Coke და Apple.

6. ᲙᲘᲛ ᲙᲐᲠᲓᲐᲨᲘᲐᲜᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 67მლნ.

შემოსავლის წყარო — ტელევიზია

კიმ კარდაშიანი არის თოქ-შოუ „კარდაშიანების ოჯახის“ ვარსკვლავი.

ამჟამად ის ფლობს კოსმეტიკურ კომპანია KKW Beauty, რომლის გაყიდვებმაც 2017 წელს მიაღწია 100 მლნ. დოლარს.

ასევე კიმი არის კომპიუტერული თამაშის „Kim Kardashian: Hollywood venture“-ის მთავარი მონაწილე.

ტელევარსკვლავის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ასევე რეკლამა Instagram-ში, სადაც მას ჰყავს 114 მლნ. ხელმომწერი.

7. ᲑᲘᲝᲜᲡ ᲜᲝᲣᲚᲖᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 60 მლნ.

ასაკი — 35 წელი

შემოსავლის წყარო — მუსიკა

ბიონსმა და მისმა მეუღლემ, რეპერმა ჯეი ზიმ, 2017 წელს ჩაატარეს ერთობლივი საგასტროლო ტური On The Run II, რომლის დროსაც იღებდნენ 5 მლნ. დოლარს დღეში.

ოჯახი ასევე ფლობს სტიმინგ-სერვისს Tidal-ს.

8. ᲯᲝᲐᲜ ᲠᲝᲣᲚᲘᲜ�გᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 54 მლნ.

ასაკი — 42 წელი

შემოსავლის წყარო — ლიტერატურა

იმის მიუხედავად, რომ ჰარი პოტერის შესახებ წიგნების გაყიდვები დაეცა, მწერალი მაინც იღებს სერიოზულ შემოსავალს მის მიერ შექმნილი პერსონაჟის გამოყენებისთვის თემატურ პარკებში ფლორიდაში, კალიფორნიაში და იაპონიაში, ასევე თეატრალურ დადგმებში ბროდვეიზე და ლონდონის უესტენდში.

9. ᲞᲘᲜᲙᲘ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 52 მლნ.

ასაკი — 45 წელი

შემოსავლის წყარო — მუსიკა

2017 წელს ჩატარებულმა საკონცერტო ტურმა დაადასტურა პინკის ფანების ერთგულება — მათ შორის დიდი ნაწილია რთული მოზარდები, რომლებიც უკვე გაიზარდნენ, მაგრამ მაინც ყიდულობენ ბილეთებს საყვარელი მომღერლის კონცერტებზე.

10. ᲚᲔᲓᲘ ᲒᲐᲒᲐ

წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი — $ 50 მლნ.

ასაკი — 49 წელი

შემოსავლის წყარო — მუსიკა

შემოსავლის ძირითადი წყარო 2017 წელს იყო საკონცერტო საქმიანობა.

როგორც ჩანს, არც 2018 წელს იქნება გამონაკლისი — ამჟამად მიმდინარეობს ლედი გაგას მსოფლიო ტური, რომლიც ფარგლებში უკვე პირველ კონცერტზე მან შეაგროვა მილიონიანი აუდიტორია.

„COMMERSANT.GE“

ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲓᲘᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲓᲔᲗ...

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ **მეცნიერები ბოსტნეულისა და ხილის გარეცხვას სოდით გვირჩევენ, თუმცა კი ევროპელი დიეტოლოგები აცხადებენ, რომ სოდა, ცხადია, მიკრობებს კი მოსპობს, მაგრამ მათ სასარგებლო მჟავებსაც „მიაყოლებს“.**

ამიტომ, ბოსტნეულისა და ხილის გარეცხვა უმჯობესია საპნით, თუმცა ისიცაა, რომ ამ მიზნით მხოლოდ საოჯახო ან ბავშვის საპნის გამოყენება შეიძლება, მის ყველა სხვა სახეობას, ნაყოფთან ურთიერთობისას, ტუტე რეაქცია ექნება, რაც სასარგებლო ელემენტებს გაანადგურებს.

ᲡᲐᲣᲖᲛᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ **მეცნიერები აცხადებენ, რომ სწორად შედგენილ საუზმეს ინსულტისა და ინფარქტის თავიდან აცილება შეუძლია. საქმე იმაშია, რომ დილაობით განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს სისხლში თრომბოციტების „შეწებება“, რასაც შესაძლოა თრომბების წარმოშობა მოჰყვეს.**

ჯანმრთელობისთვის სარგებლის მომტანი საუზმე არა მხოლოდ „სწორი“ სურსათისგან, არამედ სწორ დროსაც უნდა იყოს. ესაა სრული გაღვიძებიდან ნახევარი საათის შემდეგ დრო. არ ღირს საუზმედ ნახევარფაბრიკატების, შემწვარი და ცხიმიანი ხორცის მირთმევა. დილაობით ორგანიზმს ამ საჭმლის სრულად მონელება არ შეუძლია. საუზმემ ადამიანი ცილის დღეღამური ნორმით უნდა უზრუნველყოს, მასში ასევე უნდა იყოს ნახშირწყლების ორი მესამედი და ცხიმების მეხუთედზე ნაკლები ოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუკი დილის კვება დაბალანსებულია, ადამიანის შრომისუნარიანობა 30 პროცენტით იზრდება.

ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔᲛᲙᲘᲓᲘᲔᲑᲘ...

ᲛᲝᲣᲡᲕᲔᲜᲐᲠᲘ, **ფორიაქა მოსწავლეები თავიანთ გულდამშვიდებულ და დინჯ თანაკლასელებზე იშვიათად რჩებიან კლასში მეორე წელს, დაადგინეს კანადელმა მეცნიერებმა.**

ერთი შეხედვით, განგაშის მაღალი დონე ბავშვს სწავლაში ხელს უნდა უშლიდეს, მაგრამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ ხასიათის მატარებელ მოსწავლეებს სწავლის თაობაზე ნაკლებად განიცდიან და გამოცდების გამო თავის შეწუხებას არც კი „კადრულობენ“.

ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲛᲐᲛᲝᲑᲐ **მუდამ უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეული ასაკის შემდეგ მამაკაცს ამის ნაკლები შანსი აქვს.**

გასაკვირი არ არის, რომ ასაკი მამაკაცის ორგანიზმზე გარკვეულ კვალს ტოვებს, წლების მატებასთან ერთად მუტაციები ჰერმიანატიულ, ანუ იმ უჯრედებშიც გროვდება, რომლებიდან მამაკაცის სასქესო უჯრედები ყალიბდება. სწორედ ამის გამოა, რომ ასაკოვანი მამების შვილების შთამომავლობას დაავადების მაღალი რისკი აქვს.

თუმცა ყველაფერი არც მთლად ასეა, ასაკოვან მამებს ბუნება ძვირფას ორ საჩუქარს უკეთებს: ცოტა ხნის წინათ დაადგინეს, რომ 50 წლის ასაკს გადაცილებულ მამაკაცთაგან ჩასახული ემბრიონები უფრო ნელა ვითარდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ბავშვთა სიცოცხლე თანატოლებისაზე ხანგრძლივი იქნება. მეორე საჩუქარი კი ისაა, რომ ასაკოვანი მამები თავიანთი შვილებისთვის ახალგაზრდა დედებს ირჩევენ, ახალგაზრდა გენეტიკური მასალა კი შთამომავლობისთვის რისკს საგრძნობლად ამცირებს.

◎ სუმო

ტოჩინოშინმა იოკოძუნა დასცა

ტოკიოს "რიოგოკუ კოკუგიკანში" მიმდინარე სექტემბრის სუპერტურნირის მე-11 დღეს ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილი ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე მონღოლ იოკოძუნა კაკურიუს გაეჯიბრა და დიდებული გამარჯვება იზეიმა.

შეგახსენებთ, რომ კაკურიუს ზურგს 10 გამარჯვება უმაგრებდა და ჩვენებურთანაც ფავორიტად მოიაზრებოდა, თუმცა, ლევანმა მას შანსი არ დაუტოვა. ჩვენებურმა მეტოქის მავაში ხელთ იგდო და ერთი მიძალებით დოჰიოს კიდესთან მიიყვანა, შემდეგ კი ჰაერში მეორედ შეათამაშა და, უბრალოდ, ტავარას მიღმა გადადგა.

საინტერესოა, რომ ტოჩინოშინი კაკურიუს 25-ედ დაუპირისპირდა და მხოლოდ მესამედ სძლია, თუმცა, უდავოა, რომ იოკოძუნას ეს მარცხი დიდხანს ემახსოვრება.

ქართველ სუმოისტს 7 მოგება მოუგროვდა და მხოლოდ 1 წარმატება აშორებს დადებით ბალანსამდე, რაც მას ოძეკის წოდებას შეუნარჩუნებს.

აკი ბაშოს მე-12 დღეს ტოჩინოშინს მორიგი გამოცდა ელის, რადგანაც გაჯიბრება კიდევ ერთ მონღოლ იოკოძუნა ჰაკუჰოსთან მოუწევს. შეგახსენებთ, რომ ქართველ სეკიტორს „თეთრ ფენიქსთან" ზედიზედ 25 (!) ბრძოლა ჰქონდა წაგებული, თუმცა, მეტოქეთა ბოლო დაპირისპირება ჩვენებურის გამარჯვებით დასრულდა: წლეულს მაისის ბაშოზე ლევანმა მონღოლი იორიკირით დაამარცხა და იმედია, ამჯერადაც იყოჩაღებს. ვთქვათ ისიც, რომ ჰაკუჰო ერთადერთია, რომელსაც საშემოდგომო სუპერტურნირზე თერთმეტივე ბრძოლა მოგებული აქვს.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა თეიმურაზ ჯუღელმა, იგივე გაგამარუმ. ქართველმა გოლიათმა, რომელიც აღმოსავლეთის მე-12 განთესვით ირჯება და დაქვეითებისგან გადასარჩენად დადებითი ბალანსი სჭირდება, ბოლო 5 ორთაბრძოლიდან 4 მოიგო და სატურნირო ვითარება გამოასწორა.

გუშინ გაგამარუმ დასავლეთის მე-4 ნომერი კიოკუშუჰო ოშიდაშით დაჯაბნა, 5 წაგების წილ მე-6 გამარჯვება მოიპოვა და მიმდინარე ტურნირზე პირველად კაჩი-კოშიზე გავიდა. ქართველ გოლიათს მიზნის მისაღწევად დარჩენილი 4 შერკინებიდან ორის მოგებაც ეყოფა, მისი მომდევნო მოწინააღმდეგე კი დასავლეთის მეხუთე ნომერი ტაკაგენჯი იქნება, რომელთან ურთიერთშეხვედრებშიც 0:2 მარცხდება.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი



დღესაც - ფრანგთან

მეცის 500-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილმა ფრანგი კენი დე შეპერი 6:2, 7:6 დაამარცხა. მომდევნო ეტაპზე მისი მეტოქე კიდევ ერთი ფრანგი, 20 წლის უგო უმბერი იქნება.

მასპინძელმა ავსტრალიელი ბერნარდ ტომიჩი მძიმე ბრძოლაში 6:7, 6:3, 6:4 დაამარცხა. იგი მსოფლიო რეიტინგში 108-ე ადგილზეა.

ბასილაშვილი და უმბერი კარიერაში ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდებიან. მატჩი დღეს გაიმართება.

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი

„დინამო" გაძლიერდა

საკალათბურთო კლუბმა თბილისის „დინამომ" სანაკრებო ფანჯრის დასრულების შემდეგ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე სრული შემადგენლობით პირველად ივარჯიშა.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ხოშტარიას მიერ გაწვრთნილი გუნდი ფიბა-ს 2018-19 წლების ჩემპიონთა ლიგის სეზონისთვის ემზადება.

დინამოელები პირველ საკვალიფიკაციო შეხვედრას დღეს 19 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში ბერძნული სალონიკის „არისის" წინააღმდეგ გამართავენ.

საქართველოს ჩემპიონში ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ ლევან გრძელიძე და მიხეილ ბერიშვილი დარჩნენ. ამასთან, ბერიშვილი გუნდს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მატჩებში დაეხმარება, შემდეგ კი სათამაშოდ ყატარის ჩემპიონატში გადაბარგდება.

ცნობილია, რომ „დინამოს" დაემატნენ მერაბ ბოქოლიშვილი და მიხეილ ჭოჭუა „ოლიმპიდან", კლუბის სკოლის აღზრდილები ვოვა თავაქარაშვილი და გიორგი ბიგანაშვილი და მერაბ მირზიაშვილი „არენადან".

„დინამოში" ასევე ითამაშებენ ლეგიონერები: ამერიკელები რეჯერ დოუელი, ჯორდან ტედი სვოპშირი, ჯალენ ერლ მაკ გაუგი, ლამონტ ანტუან მაკი და ხორვატი დომაგოი ბუბალო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ტაეკვონდო

ოკეანის გაღმა-გამოღმა

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავასა და კანადის ქალაქ ვანკუვერში 14-16 სექტემბერს ტაეკვონდოში G1 კლასის საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირი გაიმართა, სადაც საქართველოს ეროვნული გუნდიც იყო წარმოდგენილი. ქართველმა სპორტსმენებმა ორივე ტურნირზე დიდ წარმატებას მიაღწიეს.

კანადაში ჩვენი ნაკრები მხოლოდ ერთი ოსტატით იყო წარმოდგენილი. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა 58კგ. წონით კატეგორიაში ბადრი პაქსაშვილმა 3 ბრძოლა მოიგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინალური შეხვედრის დროს მას ხელის ტრავმა გაუმწვავდა, რის გამოც ორთაბრძოლა ნაადრევად შეწყდა, თორემ ბადრის სპორტული კონდიციებით და გამართული შეხვედრებით თუ ვიმსჯელებთ, ტურნირის გამარჯვებულ მექსიკელ სპორტსმენს ძალიან მძიმე ბრძოლა ელოდა წინ.

პოლონეთში ჩვენი გუნდი 5 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

ზურაბ კინწურაშვილი 51კგ (იუნიორი),
ლუკა გელდიაშვილი 63კგ (იუნიორი),
ბექა ქავთარაძე 63კგ,
არშაკ კირაკოსიანი 68კგ,
მერაბ შუკაკიძე 68კგ.

მათგან ორმა — ზურაბ კინწურაშვილმა და ბექა ქავთარაძემ უმაღლესი სინჯის მედლების მოპოვება შეძლეს. ორივე მათგანმა ხუთ-ხუთი შეხვედრა გამართა და ყველა მათგანში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ზურაბ კინწურაშვილს ოქტომბერში ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე უწევს გამოსვლა და იმედია, პოლონეთში მიღწეული გამარჯვება ოლიმპიადაზე მისაღწევი გამარჯვების საწინდარი იქნება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

გუნდის შენებას დრო უნდა

ფულის წყალში გადაყრაში ქართველებს ბარე ორი ვერ შეედრება, მაგრამ, როგორც ირკვევა, არც „პარი სენ-ჟერმენის" ბოსები არიან ნაკლებად მფლანგველები.

ამაში ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის სტარტმა დაგვარწმუნა, რომელიც „ენფილდზე" გამართულმა ბრწყინვალე შეხვედრამ დაამშვენა.

ვის არ ყიდულობენ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მოსაგებად ფრანგული გრანდის ამბიციური მესვეურები. მაგალითად, თავდამსხმელთა სუპერტრიოს საბაზრო ღირებულება ზოგიერთი ქვეყნის ბიუჯეტსაც აღემატება. დაუმატეთ ამას ახალი მთავარი მწვრთნელის — გერმანელი თომას ტუხელის შეძენა, მაგრამ, ეტყობა, ოლიმპზე ასასვლელად თვით ასეთი ვარსკვლავთკრებულიც კი არაა ჯერჯერობით მთლად მომწიფებული.

შედარებით უკეთაა ამ მხრივ საქმე „ლივერპულში", რომელსაც, მართალია, უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია არ მოუგია პრემიერლიგა, მაგრამ წლეულს მაისში ჩემპიონთა ლიგის ფინალს უწია და საშინაო ფრონტზეც უდანაკარგოდ იბრძვის.

გასათვალისწინებელია ასევე გერმანელი სპეციალისტის იურგენლოპის ფაქტორიც, რომელმაც თანამემამულე კოლეგას პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი. დავძენთ, რომ მოკრძალებული შედეგის მიუხედავად — 3:2, მასპინძლებმა მრისხანე მეტოქეზე გაცილებით შეკრული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, ამიტომ ნურავის შეიყვანს შეცდომაში „პსჟ"-ს ბაირამობა სამშობლოში, სადაც მას ღირსეული კონკურენტი არ ჰყავს.

პირველი დღის გვირგვინად იქცა ლეო მესის მიერ დადგმული მორიგი სპექტაკლი „ეინდჰოვენთან". მართლაც რომ აღტაცებას იწვევს არგენტინელი ჯადოქრის ინდივიდუალური მონაგარი — 103 გოლი ჩემპიონთა ლიგაში, აქედან 42 — უშუალოდ საჯარიმო დარტყმით, ასევე 42 ჰეთ-თრიქი „ბარსელონაში" და 8 ჰეთ-თრიქი ჩემპიონთა ლიგაში, რაც საუკეთესო შედეგია.

თვით მატჩი კატალონიელებმა 4:0 მოიგეს (მეოთხე ბურთი დემბელემ გაიტანა).

დანარჩენი შედეგები:
„ინტერი" — „ტოტენჰემი" — 2:1;
„მონაკო" — „ატლეტიკო" — 1:2;
„ცრვენა ზვეზდა" — „ნაპოლი" 0:0;
„გალათასარაი" — „ლოკომოტივი" — 3:0;
„შალკე" — „პორტუ" — 1:1;
„ბრიუგე" — „დორტმუნდი" — 0:1.

გიორგი ფოთაძე

ARDAVIWYEBA

მთავარია, გვახსოვდეს - ვისი გორისა ვართ...

ვალერი ჩხეიძის გახსენება

მას 26 სექტემბერს 70 წელი შეუსრულდებოდა... ვალერი ჩხეიძის ხსოვნამ გვიბიძგა გვეთქვა ის, რასაც ვფიქრობდით. ის ყოველთვის ცეცხლის ხაზზე იდგა თავისი სიცოცხლის ფასად. ჩვენი თაობის ისტორიაში განა მრავლად არიან ასეთი თავდადებული მამულიშვილები როგორიც ის იყო?! შეუძლებელია ამის დავიწყება.

დაიბადა 1948 წელს ბაღდათში. 1966 წელს დაამთავრა სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა. 1971 წელს თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1975 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს უშიშროების კომიტეტში, სადაც გაიარა ყველა თანამდებობრივი იერარქიული სამსახური, დაწყებული ოპერრწმუნებულიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემდე. 1982-1984 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში. 1984-1987 წლებში მსახურობდა ავღანეთში დიპლომატიური მისიით. შემდგომ მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთის, ცხინვალის და მთიანი ყარაბაღის ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტაში. წლების მანძილზე იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1994-2004 წწ.), რომლის ჩამომყალიბებელი და დამაარსებელი, შეიძლება თქმა, თავად იყო. 2004 წელს ის ინიშნება საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. მალევე გვევლინება საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ და საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის დირექტორად. იმავე პერიოდში იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს უცვლელი წევრი.

ვ. ჩხეიძე არის პოლიტოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდა მშობლიური ქართულისა, ფლობს უკრაინულ, რუსულ, სპარსულ და ტაჯიკურ ენებს. დაჯილდოებულია 7 სახელმწიფო ორდენით და 28 მედლით. გარდა საქართველოსი, მიღებული აქვს ავღანეთის,უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მონღოლეთის სახელმწიფო ჯილდოები. აქვს მებრძოლი გენერლის (გენერალ ლეიტენანტის) წოდება. როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სხვადასხვა დროს იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბულგარეთში, თურქეთში, ავღანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, პოლონეთში და სხვ.

ვალერი ჩხეიძეს როგორც სარდალს, საინტერესო იდეა ეკუთვნის „სასაზღვრო დასახლების შემოღების მოწყობის საკითხში" — სურვილი ჰქონდა, თრუსოს (ხევი) ხეობაში ვეტერანები დაესახლებინა, ასევე ნებაყოფლობით რეზერვისტები, მან პირველმა საზღვრისპირა მოსახლეობის სასაზღვრო სამსახურში განწესება უზრუნველყო, ამბობდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იცნობდა საზღვრისპირა რელიეფს. ამიტომაც ისინი უკეთესად დაიცავდნენ სახელმწიფო საზღვარს და მათი წვრთნა და სწავლება შემოიღო. ის ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასაზღვრო ზოლში არსებული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის მდგრადობას და ახლის მშენებლობას, რაზეც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ეს კურთხევა ჰქონდა.

აქვე გვინდა მისი ცხოვრებიდან ერთი შტრიხი გამოვყოთ, როდესაც რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო უწყება ცდილობდა საზღვრის პერიმეტრის ერთი მონაკვეთის გადმოწევას. მან ქართული მიწის ერთი გოჯი-მისხალი არ დათმო, რის გამოც რუსეთის საზღვრის ფედერაციის ხელმძღვანელი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ვალერი ჩხეიძე პროფესიონალი და თავისი სამშობლოს ერთგული იყო. ის აფასებს მის მხედრულ მამაცობას.

ვ. ჩხეიძის პასუხი იყო, რომ ქართველებმა კარგად იციან მოყვასის და მტრის ფასი, იციან, ვის როგორი პასუხი გასცენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ტოლერანტები არიან, დედა-სამშობლოსათვის თავდადებულები ვართ.

ნიშანდობლივია აფხაზეთის ომის ერთი ეპიზოდიც, რასაც თანამებრძოლები იხსენებენ. როდესაც ერთ-ერთი თანამებრძოლი დაჭრეს და გადაადგილებას ვერ ახერხებდა, ჯგუფს ჩამორჩა. ცნობილი გახდა რა ეს ვ. ჩხეიძისათვის, მან პირადად მხრებზე შეისვა დაჭრილი თანამებრძოლი და ბრძოლის ველიდან გაიყვანა — სიცოცხლე შეუნარჩუნა. შემდეგ, როდესაც მას ჰკითხეს, რატომ არ გასცა ბრძანება, ეს რომელიმე თანამებრძოლს გაეკეთებინა, მისი პასუხი იყო: „მეთაურის მოვალეობაა თვითეული მებრძოლის სიცოცხლისათვის მზრუნველობა, ეს კი ბრძოლის დაუწერელი კანონია. დღეს ის დაჭრილი სასაზღვრო ძალების პოლკოვნიკია.

საოცარი იყო მისი სამუშაო კაბინეტის ხილვა — იქ მყოფს შემოგცქეროდა დავით მეფის, თამარის, ერეკლეს სურათები, ხოლო ახლო მაგიდასთან დიდი ბაბუის სიმონ ჩხეიძის სურათი ჰქონდა, რომელიც პირველი სამამულო ომის მონაწილე იყო.

ერთხელ მასთან ინტერვიუს ასაღებად მისული ჟურნალისტი ეუბნება, ვისთან არ ვყოფილვარ კაბინეტში, ყველას ამჟამინდელი პრეზიდენტის სურათი უკიდია კედელზე, თქვენთან კი სულ სხვა გარემოა.

საინტერესოა ვალერი ჩხეიძის პასუხი: „ჩვენი წინაპრები ცოცხალი ადამიანის სურათს კედელზე არ ჰკიდებდნენ, მთავარი ის არის, რომ გვახსოვდეს ვისი გორისა ვართ."

ვალერი ჩხეიძეს თავდადებული მსახურებით, ადამიანური ღირსების დაცვის ინტერესისადმი უანგარო ერთგულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საკითხში, რაც ზნეობრივი გმირობის მაგალითია. სამშობლოს წინაშე გაწეული სამსახურისთვის დაჯილდოებულია არაერთი სახელმწიფო ორდენით და მედლით, ასევე მეგობარი ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოებით.

ის გამორჩეული პიროვნება იყო, რომელსაც გააჩნდა მაღალი სული, კეთილი გული, სუფთა სინდისი, კაცი-ადამიანი!

მეგობართა ჯგუფი:
გია ბოჭორიშვილი, ზეინაბ ბოჭორიშვილი, ვასო გიგინეიშვილი, ვაჟა დგებუაძე, ნინა დუნდუა, ნათელა ვაშაკიძე, ნაზი კლარჯეიშვილი, ლევან კენჭაძე, ნუკრი ლეკვეიშვილი, თამაზ მურღულია, გურამ მშვიდობაძე, ნინიკო მესხი, თემურ ნიშნიანიძე, თამრიკო ნიკურაძე, ნანა ნიკურაძე, თამაზ სპირატი, ნანა სალდაძე, ჯულიეტა სიხარულიძე, სამსონ ყუბანეიშვილი, შალვა ყურაშვილი, ვანო ხვიბლიანი, ბადრი ხუნდაძე, თამაზ ჯანჯღავა.

SANTELI

შოთა კოლელიშვილი

წავიდა ჩვენგან სატელეკომუნიკაციო სივრცის და ძველი კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი და ნამდვილი ვეტერანი, უღალატო და უანგარო ადამიანი, ბატონი შოთა კოლელიშვილი.

აღსანიშნავი და დასაფასებელია სატელეკომუნიკაციო სფეროში მისი სამოცწლიანი მოღვაწეობის პერიოდი, მათ შორის მრავალი წლის მანძილზე ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორიცაა ქვეყნის დედაქალაქის სატელეფონო ქსელის ტექნიკური ექსპლუატაციის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა.

ასევე უდიდესია ბატონი შოთა კოლელიშვილის წვლილი შპს „ახალი ქსელების" და შპს „ახტელის" (დაარსების დღიდან) მიერ განხორციელებული სატელეკომუნიკაციო ქსელის მოდერნიზაციისა და განვითარების პროექტების წარმატებულ რეალიზაციაში. ყველას, ვისაც მის გვერდით უმუშავია, კარგად ახსოვს მისი დაუღალავი შრომა და საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ბატონი შოთას პროფესიონალიზმს ამშვენებდა მისი პირადი ადამიანური თვისებები — იგი გახლდათ გამორჩეულად ყურადღებიანი მეუღლე, შესანიშნავი მამა, ბაბუა, ღირსეული პიროვნება და საიმედო მეგობარი.

ბატონო შოთა, უდიდესი მადლიერებით აღვნიშნავთ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის ამ წარმატებულ და შედეგიან ათწლეულებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული და დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა.

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, თემურ ღოღობერიძე, თემურ ბერიშვილი, კოტე სამუშია, ვახტანგ თოდუა, დემურ ინჯია.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელების", „ახტელის", „სისტემნეტის" და „ფოპტნეტის" ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი, ნამდვილი ვეტერანი

შოთა კოლელიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

რუსთავში „ზუმერის" მაღაზია კიდევ ერთხელ გაქურდეს

წინასწარი ინფორმაციით, მოპარულია 18 ძვირადღირებული მობილური ტელეფონი. მძარცველებმა მაღაზიაში შესვლა კარის დაზიანებით მოახერხეს.

ცნობისთვის, რუსთავში „ზუმერის" მაღაზია წელს უკვე მეორედ გაქურდეს.

კატალონიის პოლიციამ „ქართული მაფიის" წევრები დააკავა

კატალონიის პოლიციამ **„ქართული მაფიის" 15 წევრი დააკავა. მათ ბრალად ედებათ ბარსელონასა და ქალაქის შემოგარენში ათეულობით ბინისა და სახლის გაქურდვა.**

გამომძიებლების ინფორმაციით, დაკავებული პირები ორი კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან. 5 და 6 სექტემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ამოღებულია 130 000 ევრო, 2 კილოგრამი ოქროს ნაკეთობები, ელექტროტექნიკა და ბინის გაქურდვისთვის საჭირო ხელსაწყოები.

ესპანური პრესის ცნობით, კრიმინალური ჯგუფების წევრები ყოველთვის ერთნაირი ტაქტიკით მოქმედებდნენ. კერძოდ, პირველ ეტაპზე არჩევდნენ სახლებს, შემდეგ კარებზე სპეციალურ ნიშნებს ტოვებდნენ, რათა გაეგოთ, არიან თუ არა სახლში მეპატრონეები.

ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, დაკავებულებს შორის არის ე.წ. კანონიერი ქურდი, რომელიც სახლების გაქურდვაში ბრალდებულების ქმედებების კოორდინაციას უწევდა. ის 53 წლის მამაკაცია, რომელსაც რუსეთში სხვადასხვა დანაშაულში ედება ბრალი. სავარაუდოდ, ბრალდებული ესპანეთში ყალბი პასპორტით ჩავიდა და ხელმძღვანელობდა კრიმინალურ ჯგუფებს ალიკანტესა და სევილიაშიც.

გამომძიებლები ასევე ამბობენ, რომ ესპანეთში მოქმედი დამნაშავეები ხშირ შემთხვევაში ბრძანებებს საფრანგეთის ციხეებში მყოფი მეთაურებისგან იღებდნენ, სადაც „ქართული მაფიის" ათეულობით წევრი იხდის სასჯელს.

დაკავებულებს 22 დანაშაულში ედებათ ბრალი.

ავტოსაგზაო შემთხვევა ვაზისუბანში

თბილისში, ვაზისუბანში, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა, რის შედეგადაც, კიდევ ერთი ავტომობილი დაზიანდა.

შედეგად დაშავდა ერთი პირი. ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა.

ვულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, გონდო ქოგულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად დამფუძნებელს, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროების წამყვანი დარგების ყოფილ თავკაცს, გამორჩეულ ბიზნესმენსა და ღვთისნიერ პიროვნებას, ბატონ

გურამ ახრახაძეს.



ბერა დაქორწინდა

ყოფილი პრემიერის და ქართული ოცნების ლიდერის შუათანა ვაჟი ბერა ივანიშილი დაქორწინდა. **რეპერი აქვეყნებს ფოტოს თავის რჩეულთან ერთად. მისი რჩეული გოგონა ქართველი მოდელი ნანუკა გუდავაძეა.**

„და რაც აქამდე იყო ჩემი და შენი, დღეს გახდა ჩვენი“ – ასეთი შინაარსის პოსტს აქვეყნებს ბერა ივანიშვილი თავის სოციალურ ქსელში.

ანჯელინა თხოვდება

მსახიობი ანჯელინა ჯოლი იდუმალ ინგლისელ მილიარდელზე თხოვდება – ამის შესახებ ინფორმაციას უცხოური პრესა ავრცელებს. არსებული ინფორმაციით, მსახიობმა უკვე დაგეგმა ხელმოწერის ცერემონიალი. დღე მეგობრებისა და ნათესავების წრეში ჩაივლის. თუმცა არსებობს ერთი მნიშვნელოვანი განსაკუთრებული პრობლება – ანჯელინა ჯოლი კერ კიდევ პრედ პიტის ცოლია. აღნიშნული წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად მსახიობმა უკვე მიმართა სასამართლოს და სთხოვა, გადახედოს განქორწინების საქმეს. გამოცემა წერს, რომ ანჯელინას რჩეულს ბევრი პრობლემის გადაჭრა შეუძლია. გამოცემა ასევე წერს, რომ ანჯელინა ჯოლიმ დ მისმა იდუმალმა „ფულის ტომარამ“ უკვე დადეს ფიცი. წყვილმა ჩაატარა ცერემონია სადაც ერთმანეთს სამუდამო სიყვარული შეჰფიცეს. აღსანიშნავია რომ ცერემონია საიდუმრო ქორწინებას გავდა. ანჯელინა იყო თეთრ კაბაში და ხელში ეკავა თაიგული.

„სექსი ეს ღვთის საჩუქარია და არა ტაბუ“

„სექსუალურობა და სექსი ღვთის საჩუქარია, და არა ტაბუ, მას ორი მიზანი აქვს – სიყვარული და ახალი ცხოვრების დაბადება. ნამდვილი სიყვარული ვნებიანია და ქალსა და მამაკაცს შორის ვნებიან სიყვარულს მარადიულ ცხოვრებამდე მივყავართ. სიყვარული გაიცემა სულით და ხორცით.“ – განაცხადა ახალგაზრდა ფრანგ კათოლიკეებთან შეხვედრისას რომის პაპმა და ასევე დასძინა, რომ სექსუალურობა სიყვარულის გარეშე არ უნდა გამოიყენებოდეს.

„მე მიყვარს კლასიკური მუსიკა“

დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის ადმინისტრაციის ინიციატივით, 2018-2019 აკადემიური წლის განმავლობაში, სექტემბრიდან ივნისის ჩათვლით, ყოველი თვის ერთ-ერთ პარასკევს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ლექცია-კონცერტების მესამე სეზონი გაიხსნება.

ამის შესახებ კონსერვატორიაში გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, რომელიც კლასიკური მუსიკის შემეცნებითი პროგრამის – „მე მიყვარს კლასიკური მუსიკა“ მიეძღვნა. ლექციები 28 სექტემბერს დაიწყება და მათი ხანგრძლივობა 50-60 წუთი იქნება.

პრესკონფერენციას თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია, კონსერვატორიის პროფესორი, რექტორის მოადგილე და პროექტის იდეის ავტორი მანანა დოიჯაშვილი და პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, დიდი დარბაზის დირექტორის მოადგილე ნატა მეცხოვრიშვილი უძღვებოდნენ.

სოფიო ხუნწარიას თქმით, არაფორმალური განათლება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„პროექტის სამიზნე ჯგუფი საჯარო სკოლების 7-14 წლის ასაკის მოსწავლეები არიან. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის ცნობიერებაში კლასიკური მუსიკისადმი სიყვარული ადრეულ ასაკში ჩაისახოს. პროგრამა თითოეულ მათგანს შესაძლებლობას მისცემს, ამ ჯადოსნურ სამყაროს ეზიაროს“, – აღნიშნა სოფიო ხუნწარიამ.

„ომისთვის მზად ვართ“

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ სომხეთის სამხედრო ძალები სიტუაციას ფლობენ და მზად არიან, საკადრისად უპასუხონ აზერბაიჯანის სამხედრო ძალებს. „სიტუაცია წინა ფლანგზე დაძაბულია, ჩვენ მზად ვართ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, მაგრამ ჩვენ ასევე მზად ვართ ომისათვის და ეს უნდა გაითვალისწინონ სომხეთის ფარგლებს გარეთაც“, – განაცხადა ფაშინიანმა.

ერთიანი ოლიმპიადა კორეაში

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ლიდერები 2032 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ერთობლივად ჩატარებას გეგმავენ. ოლიმპიადის მასპინძლობისთვის სამხრეთ კორეა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ.

აღნიშნული ინფორმაცია ერთობლივი სამიტის დასრულების შემდეგ მომზადებულ დოკუმენტში გამოქვეყნდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6188; ევრო - 3.0593;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4414;
100 რუბლი - 3.8673; თურქული ლირა - 0.4088;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5407;
1000 სომხური დრამი - 5.3996.

ამინდი 20 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge